პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 11 თებერვალი, 1945 წ. № 30 (7245). ფასი 20 კაპ.

ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარებმა გასტეხეს მტრის გარშემორტყმული დაჯგუფების წინააღმდეგობა და იერიშით დაიკავეს ქალაქი ელბინგი—კომუნიკაციების დიდი კვანძი და გერმანელთა თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტი ვისლის მარჯვენა ნაპირზე, რომელიც იფარავს დანციგის ბუხტის მისადგომებს.

ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობდნენ, ბრძოლით დაიკავეს ქალაქი პრეისიშ აილაუ—კომუნიკაციების დიდმნიშვნელოვანი კვანძი და გერმანელთა თავდაცვის ძლიერი დასაყრდენი პუნქტი აღმოსავლეთ პრუსიაში.

დიდება მშობლიურ გმირ წითელ არმიას!

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
უმაღლესი მთავარსარდლისა
ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარების სარდალს საბჭოთა კავშირის მარშალ როკოსოვსკის ფრონტის შტაბის უფროსს გენერალ-ლეიტენანტ ბოგოლიუბოვს

ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარებმა გასტეხეს მტრის გარშემორტყმული დაჯგუფების წინააღმდეგობა და დღეს, 10 თებერვალს, იერიშით დაიკავეს ქალაქი ელბინგი — კომუნიკაციების დიდი კვანძი და გერმანელთა თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტი ვისლის მარჯვენა ნაპირზე, რომელიც იფარავს დანციგის ბუხტის მისადგომებს.

ქალაქ ელბინგის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ ფედიუნინსკის, გენერალ-ლეიტენანტ კოკორევის, გენერალ-ლეიტენანტ ანისიმოვის, გენერალ-მაიორ ფეტისოვის, გენერალ-მაიორ იაკუშევის, პოლკოვნიკ კურენის, გენერალ-მაიორ დემიდოვის, პოლკოვნიკ ჩესნოკოვის ჯარებმა; არტილერიის გენერალ-მაიორ კაზაკოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ როზოვინის, პოლკოვნიკ ოსტანინის, პოლკოვნიკ კრივოშეენკოს, პოლკოვნიკ მიხაილენკოს, პოლკოვნიკ კულიჩინის, პოდპოლკოვნიკ ბონდარენკოს, პოდპოლკოვნიკ ვოლკოვის არტილერისტებმა; პოლკოვნიკ მირონოვიჩის, პოდპოლკოვნიკ კოპილოვის, მაიორ დობინის, მაიორ ტრეპოვის ტანკისტებმა; პოლკოვნიკ სმოლოვიკის, პოლკოვნიკ ვუსის, პოლკოვნიკ იაკუშინის, პოდპოლკოვნიკ ბარდეევის მფრინავებმა; პოდპოლკოვნიკ ალექსანდროვის, პოლკოვნიკ ბაბაევის, პოლკოვნიკ შოსტაკის, პოდპოლკოვნიკ ჟუკოვსკის მესანგრეებმა; პოლკოვნიკ ბახილინის, მაიორ ზვონოვის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ ელბინგის დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „ელბინგის“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 10 თებერვალს, 20 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ბელორუსიის მე-2 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი ელბინგი.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქ ელბინგის დაკავებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1945 წლის 10 თებერვალი. № 271.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
უმაღლესი მთავარსარდლისა
ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარების სარდალს არმიის გენერალ ჩერნიახოვსკის ფრონტის შტაბის უფროსს გენერალ-პოლკოვნიკ პოკროვსკის

ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობდნენ, დღეს, 10 თებერვალს, ბრძოლით დაიკავეს ქალაქი პრეისიშ აილაუ — კომუნიკაციების დიდმნიშვნელოვანი კვანძი და გერმანელთა თავდაცვის ძლიერი დასაყრდენი პუნქტი აღმოსავლეთ პრუსიაში.

ქალაქ პრეისიშ აილაუს დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ ლუჩინსკის, გენერალ-ლეიტენანტ ჩანჩიბაძის, გენერალ-მაიორ როგაჩევსკის, გენერალ-მაიორ ლევინის, გენერალ-მაიორ ბატიცკის, გენერალ-მაიორ შვარევის, გენერალ-მაიორ ალექსანდროვის, გენერალ-მაიორ ლიუხტიკოვის, გენერალ-მაიორ კუზნეცოვის, პოლკოვნიკ შაცკოვის, პოლკოვნიკ რიბალკოს, გენერალ-მაიორ ტურჩინსკის, პოლკოვნიკ პოპოვის, გენერალ-მაიორ დანილოვის, გენერალ-მაიორ ვლადიჩანსკის, გენერალ-მაიორ მიშკინის, პოლკოვნიკ ლეონოვის, გენერალ-მაიორ სამოხვალოვის, პოლკოვნიკ საბენკოს ჯარებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ ბარსუკოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ პეტროპავლოვსკის, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ სტრელბიცკის, პოლკოვნიკ სტრუევის, პოლკოვნიკ კირილოვის, პოლკოვნიკ კოსტიკოვის, პოლკოვნიკ ტიშინის, პოლკოვნიკ ზუბკოვის, პოლკოვნიკ ვიშნევსკის, პოდპოლკოვნიკ აფანასიევის არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ როდინის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ბუდკოვის, პოლკოვნიკ სომერის, პოლკოვნიკ კუზნეცოვის ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ ხრიუკინის, ავიაციის გენერალ-მაიორ ნეჩიპორენკოს, პოლკოვნიკ ჩუჩევის, ავიაციის გენერალ-მაიორ შევჩენკოს, ავიაციის გენერალ-მაიორ მოლოკოვის მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ბარანოვის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ ჟიროვის, პოლკოვნიკ ლევინის, პოლკოვნიკ ანტონოვის, პოლკოვნიკ კუშნირის მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ბუროვის, კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ კოკორინის, პოლკოვნიკ პლოტკინის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ პრეისიშ აილაუს დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 10 თებერვალს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ას ოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ბელორუსიის მე-3 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი პრეისიშ აილაუ.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ პრეისიშ აილაუს დაკავებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1945 წლის 10 თებერვალი. № 272.

საინფორმაციო ცნობა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის შესახებ

მოსკოვში შესდგა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მორიგი XIII პლენუმი საოლქო კომიტეტების, სამხარეო კომიტეტების, მოკავშირე რესპუბლიკების კომკავშირის ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნების მონაწილეობით.

პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები:

ა) ახალგაზრდობაში კომკავშირული ორგანიზაციების პოლიტიკურ - აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ — მომხსენებელი საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. ა. მიხაილოვი.

ბ) სახელოსნო, რკინიგზის სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლების ახალგაზრდობაში კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ — მომხსენებელი საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ა. ე. ხარლამოვი.

განხილულ საკითხებზე მიღებულ იქნა სათანადო დადგენილებანი.

პლენუმის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს წერილი ამხანაგ სტალინისადმი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
10 თებერვლის ოპერატიული ცნობა

ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობდნენ, 10 თებერვალს ბრძოლით დაიკავეს ქალაქი პრეისიშ აილაუ — კომუნიკაციების დიდმნიშვნელოვანი კვანძი და გერმანელთა თავდაცვის ძლიერი დასაყრდენი პუნქტი აღმოსავლეთ პრუსიაში, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 30-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი და მათ შორის ბლოგუნენი, ტიფენტალი, კორშელენი, ვაკერნი, როდიტენი, შევეკენი, ტოპრინენი, გალენენი.

ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარებმა გასტეხეს მტრის გარშემორტყმული დაჯგუფების წინააღმდეგობა და 10 თებერვალს იერიშით დაიკავეს ქალაქი ელბინგი — კომუნიკაციების დიდი კვანძი და გერმანელთა თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტი ვისლის მარჯვენა ნაპირზე, რომელიც იფარავს დანციგის ბუხტის მისადგომებს. 8 და 9 თებერვალს ფრონტის ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 4.300-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ქალაქ შნაიდემიულის ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები კნაკზეე, გროს ბორნი, რედერიტცი, ჰოფშტედტი, ჰანსფელდე, ეკარტსბერგე, კლაუსდორფი, შტრანცი, კლაინ ნაკელი, მარტე, დენციხი.

შნაიდემიულსა და პოზნანში გრძელდებოდა ბრძოლები მოწინააღმდეგის გარშემორტყმული გარნიზონების მოსასპობად.

ბუდაპეშტის დასავლეთ ნაწილში (ბუდა) ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც ბრძოლებს განაგრძობდნენ მოწინააღმდეგის გარნიზონის მოსასპობად, რამდენიმე უბანი დაიკავეს. 9 თებერვალს ამ რაიონში ტყვედ წამოყვანილია მოწინააღმდეგის 1.300-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

9 თებერვალს ყველა ფრონტზე დაზიანებული და მოსპობილია გერმანელთა 110 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 70 თვითმფრინავი.

* * *

ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარები, რომლებიც შეტევას განაგრძობდნენ, გავიდნენ ქალაქ პრეისიშ აილაუს მისადგომებზე, რომელიც აღმოსავლეთ პრუსიის გამაგრებული რაიონის ცენტრს წარმოადგენს. ეს რაიონი შესდგებოდა დიდძალი 4-ამბრაზურიანი რკინაბეტონის ხანგრძლივი საცეცხლე წერტილისა- [illegible]

მოტორებს და წყალქვეშა ნავებს. ომამდე ეს ქარხნები თვეში უშვებდნენ 6 წყალქვეშა ნავს. ელბინგში არის აგრეთვე ვერფები სატორპედო კატერების ასაგებად და სხვა საწარმონი.

* * *

ქალაქ შნაიდემიულის ჩრდილოეთით და [illegible]

[illegible] ელბინგს, იერიში მიიტანეს ქალაქზე. მტრის სიმაგრეებზე მძლავრი ცეცხლით თავდასხმის შემდეგ საბჭოთა მებრძოლებმა დაიკავეს რკინიგზის სადგური, რომელიც ჰიტლერელთა მომარაგების ბაზას წარმოადგენდა. ჩვენმა ჯარებმა წარმატება განავითარეს, ქალაქის ცენტრში შეიჭრნენ, გაანადგურეს მტრის დაჯგუფება და დღეს მთლიანად დაიკავეს ქალაქი. ელბინგისათვის ბრძოლებში გაჟლეტილია რამდენიმე ათასი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ დიდძალი საჭურველი, საწყობი, ვაგონი და ორთქლმავალი.

ელბინგი აღმოსავლეთ პრუსიის მეორე ქალაქია სიდიდით. იქ თავმოყრილია მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საწარმოები. შიხაუს ქარხნები აშენებდნენ ლოკომოტივებს, გემის [illegible]

გერმანელთა 25-ე სატანკო დივიზიის ტყვე უნტერ-ოფიცერმა ჰაინც კირშნერმა განაცხადა: „ჩვენი დივიზია გარშემორტყმულ იქნა საბჭოთა ჯარების მიერ. ბრძოლამ გარემოცვაში დაახლოებით ექვს საათს გასტანა. ჩვენ დავკარგეთ 90-ზე მეტი ტანკი და ჯავშანტრანსპორტიორი. ჩემი ტანკი დაზიანებული იყო და მე ეკიპაჟიანად ვცდილობდი ტყეებით გავსულიყავი დასავლეთისაკენ. მთელ ღამეს შეუჩერებლივ მივდიოდით. დილით, როდესაც გვეგონა, უკვე გასული ვართ გარემოცვიდანო, რუსი ქვეითი ჯარისკაცები შევნიშნეთ. ტყვეობაში მე ბევრ თანამოსამსახურეს შევხვდი. მათგან გავიგე, რომ 25-ე დივიზია სავსებით განადგურებული და მოსპობილია“.

ბუდაპეშტის თავზე

საბრძოლო დღე ბომბდამშენმა მფრინავმა ცარევმა დაიწყო. იგი გაფრინდა ამინდის დასაზვერავად და მტრის საარტილერიო პოზიციები ჩაინიშნა. ცარევის შემდეგ ჰაერში აფრინდნენ მოიერიშეები. ისინი მიდიოდნენ ორ-ორნი, შემდეგ ოთხ-ოთხნი.

მოიერიშეები მიფრინავდნენ სახმელეთო სარდლობის გამოძახებითა და დაკვეთით. მათ ხელმძღვანელობდა ავიაციის წარმომადგენელი სახმელეთო ჯარების საკომანდო პუნქტზე. იგი „ილიუშინთა“ ჯგუფებს იქით გზავნიდა, სადაც ქვეითი ჯარის ცეცხლით დახმარება ესაჭიროებოდა. ბუდაპეშტის დასავლეთ ნაწილს თავს დასტრიალებდნენ „იაკოვლევთა“ და „ლავოჩკინთა“ ჯგუფები. ისინი იცავდნენ ჩვენს შემტევ ნაწილებს მტრის თვითმფრინავებისაგან, იფარავდნენ მოიერიშეთა და ბომბდამშენთა მოქმედებას და სპობდნენ მოწინააღმდეგის სატრანსპორტო მანქანებს.

იმ ტვირთის უმეტესობა, საომარი მასალა და სურსათი, რასაც მტერი სატრანსპორტო თვითმფრინავებიდან ჰყრის, ჩვენი ნაწილების განლაგებაში ვარდება. მარტო ერთი დღის განმავლობაში გერმანელების მიერ პარაშუტებით ჩამოშვებული 18 „ამანათიდან“ 12 ჩვენი ქვეითი ჯარის საბრძოლო წყებებში დაეშვა.

...„ლავოჩკინთა“ ექვსეულის წამყვანმა გვარდიის უფროსმა ლეიტენანტმა ტერნიუკმა 3.000 მეტრ სიმაღლეზე „იუნკერს-52“ შენიშნა. ჯგუფის მეთაურმა უბრძანა საბჭოთა კავშირის გმირ ევსტიგნეევს იერიში მიეტანა მტერზე. ბრძანება შესრულებულ იქნა — „იუნკერსი“ ჩამოაგდეს.

„იაკოვლევთა“ ოთხეული გვარდიის უმცროს ლეიტენანტ რიაბოვის მეთაურობით პატრულობდა მტრის თვითმფრინავთა გამოჩენის მოსალოდნელი მიმართულებით. რიაბოვის მიმყოლნი 3.000 მეტრ სიმაღლეზე იყვნენ. პატრულობის რამდენიმე წუთის შემდეგ მათ შენიშნეს ოთხი „მესერშმიტი“ და რვა „ფოკე-ვულფ-190“, რომლებიც ცდილობდნენ იერიში მიეტანათ ჩვენს ჯგუფზე მზის მხრიდან. გვარდიელები ბრძოლაში ჩაებნენ. საბჭოთა მფრინავებს ზედიზედ მიჰქონდათ იერიში. გვარდიის ლეიტენანტმა მინინმა ბოლოდან მოუარა „ფოკე-ვულფს“ და მიზრუნით დაცხრილა იგი. თითქმის ამავე დროს გვარდიის ლეიტენანტმა ნიკოლაევმა ჩამოაგდო „მესერშმიტი“. მტრის ორივე თვითმფრინავი მიწაზე დაეცა და აფეთქდა.

ჯგუფის მეთაურმა რადიოთი გადასცა მფრინავებს, ქალაქისაკენ მტრის თვითმფრინავები მოდიანო. მალე გამოჩნდა „იუნკერს-52“. მას ორი „მესერშმიტი“ იფარავდა. ჩვენი პატრულის მეთაურმა უბრძანა მეორე წყვილს დაეწყო ბრძოლა „მესერშმიტებთან“, თვითონ კი თავისი მიმყოლით იერიში მიიტანა „იუნკერსზე“. მან პირველივე ჯერით წაუკიდა ცეცხლი თვითმფრინავის მარჯვენა მოტორს. შემდეგში ორი იერიშით მფრინავმა ბოლო მოუღო მტრის მანქანას. „იუნკერსს“ ცეცხლი გაუჩნდა და ტყვიასავით დაენარცხა მიწაზე.

მაიორი დ. ლობანოვი

ბუდაპეშტის რაიონი, 10 თებერვალი (ტასის სპეც. კორ.).

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
საქართველოს სს რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა მუშაკების ორდენებით დაჯილდოების შესახებ

ვინაიდან ომიანობის დროის პირობებში მუშაობას პურის დამზადების დარგში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად და იგი თავისი მნიშვნელობით ეთანაბრება ფრონტულ მუშაობას, 1944 წლის პურის დამზადების სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის დაჯილდოებულ იქნან:

სამამულო ომის I ხარისხის ორდენით

1. **ბაქრაძე** ვალერიან მიხას-ძე — საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე.
2. **ბუჯიაშვილი** მიხეილ დიმიტრის-ძე — მშრომელთა დეპუტატების გორის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.
3. **გელაშვილი** სიმონ იოსების-ძე — მშრომელთა დეპუტატების ლაგოდეხის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.
4. **გონგაძე** ვარლამ ალექსანდრეს-ძე — საქართველოს კ. პ. (ბ) თეთრი წყაროს რაიკომის პირველი მდივანი.
5. **გულიევი** მამედ ოღლი — მშრომელთა დეპუტატების ბორჩალოს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.
6. **გურაბანიძე** პოლიკარპე ლევანის-ძე — მშრომელთა დეპუტატების თეთრი წყაროს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.
7. **კვირკველია** რაფიელ არტემის-ძე — დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოს სს რესპუბლიკაში.
8. **ქინქლაძე** დიომიდე ვასილის-ძე — დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული გორის რაიონში.
9. **კოჩლაძე** შალვა ვარლამის-ძე — საქართველოს კ. პ. (ბ) ბორჩალოს რაიკომის პირველი მდივანი.
10. **ლონდარიძე** სერგი ლევანის-ძე — დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული თეთრი წყაროს რაიონში.
11. **მესხიშვილი** დავით ლაზარეს-ძე — დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული ლაგოდეხის რაიონში.
12. **მიხანაშვილი** გიორგი ილიას-ძე — საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომის პირველი მდივანი.
13. **ნუცუბიძე** შალვა დიმიტრის-ძე — საქართველოს კ. პ. (ბ) ლაგოდეხის რაიკომის პირველი მდივანი.
14. **ჩარკვიანი** კანდიდ ნესტორის-ძე — საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

სამამულო ომის II ხარისხის ორდენით

1. **ბეგლარიშვილი** მათე რამაზის-ძე — დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული კასპის რაიონში.
2. **ბოძაშვილი** ირაკლი იოსების-ძე — დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული თიანეთის რაიონში.
3. **ბურდული** ვიქტორ ალექსის-ძე — საქართველოს კ. პ. (ბ) თიანეთის რაიკომის პირველი მდივანი.
4. **გალავანოვი** ალექსანდრე გიორგის-ძე — მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.
5. **გედეშური** ივანე თომას-ძე — მშრომელთა დეპუტატების თიანეთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.
6. **გელაშვილი** სერგი მიხეილის-ძე — მშრომელთა დეპუტატების ხაშურის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.
7. **გოგოლაძე** ნიკოლოზ ზაქარიას-ძე — დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული ხაშურის რაიონში.
8. **გორჯოლაძე** აბრამ ალექსანდრეს-ძე — მშრომელთა დეპუტატების კასპის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.
9. **დუდუშაური** ირაკლი ესტატეს-ძე — საქართველოს კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომის პირველი მდივანი.
10. **დარჯანია** შამშე ნესტორის-ძე — დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული მცხეთის რაიონში.
11. **ქართველიშვილი** მიხეილ მაქსიმეს-ძე — საქართველოს კ. პ. (ბ) მცხეთის რაიკომის პირველი მდივანი.
12. **ქველაძე** ვლადიმერ მიხეილის-ძე — საქართველოს კ. პ. (ბ) კასპის რაიკომის პირველი მდივანი.
13. **კუჭიაშვილი** ივანე პეტრეს-ძე — საქართველოს კ. პ. (ბ) ყარაიის რაიკომის პირველი მდივანი.
14. **ყულიევი** მაჰმუდ ყული-ოღლი — მშრომელთა დეპუტატების ბოლნისის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.
15. **მახარაშვილი** სიმონ გიორგის-ძე — დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული დუშეთის რაიონში.
16. **მელიქიშვილი** ნიკოლოზ სტეფანეს-ძე — მშრომელთა დეპუტატების მცხეთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.
17. **პაპაშვილი** გიორგი ესტატეს-ძე — მშრომელთა დეპუტატების დუშეთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.
18. **ფოფხაძე** გრიგოლ გიორგის-ძე — საქართველოს კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის პირველი მდივანი.
19. **ხანთაძე** დავით გიორგის-ძე — საქართველოს კ. პ. (ბ) ბოლნისის რაიკომის პირველი მდივანი.
20. **ცხოვრებაშვილი** ვლადიმერ გედევანის-ძე — საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1945 წლის 1 თებერვალი.

ბოსტნები მუშებისა და მოსამსახურეებისათვის

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება 1945 წლისათვის მუშებისა და მოსამსახურეების ბოსტნებით უზრუნველყოფის შესახებ. დადგენილება ითვალისწინებს ღონისძიებებს ინდივიდუალური და კოლექტიური მებოსტნეობის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის.

სახკომსაბჭომ დაავალა საოლქო, სამხარეო, საქალაქო საბჭოებსა და რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს მიიღონ ღონისძიებანი საბოსტნე სათესი ფართობების შემდგომი გადიდებისათვის და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად მიაღწიონ იმას, რომ ინდივიდუალურ და კოლექტიურ მებოსტნეობაში მაქსიმალურად იქნან ჩაბმულნი მუშები, მოსამსახურეები, ფრონტელებისა და სამამულო ომის ინვალიდების ოჯახები.

იმ საწარმოებსა და დაწესებულებებს, რომლებსაც დამატებით ესაჭიროებათ მიწის ფართობები მუშათა და მოსამსახურეთა ბოსტნებისათვის, 1 აპრილამდე უნდა გამოეყოთ ქალაქების, მუშათა და საგარეჯო დაბების და სახელმწიფო მიწის ფონდის თავისუფალი მიწები. ეს მიწები საწარმოებსა და დაწესებულებებს მიემაგრებათ 5-7 წლით. ნებადართულია აგრეთვე საბოსტნედ გამოჰყონ საბჭოთა მეურნეობების, დამხმარე მეურნეობების, საწარმოებისა და სხვ. თავისუფალი მიწები.

საუკეთესო მიწის ნაკვეთები, რომლებიც საცხოვრებელი ადგილების ახლოს მდებარეობენ, პირველ რიგში უნდა გამოეყოს ფრონტელების, სამხედრო მოსამსახურეების ოჯახებს და სამამულო ომის ინვალიდებს.

საწარმოთა და დაწესებულებათა ადმინისტრაციას ეკრძალება ხელახლა გაანაწილოს მუშებსა და მოსამსახურეებს შორის ინდივიდუალური ბოსტნებისათვის გამოყოფილი და მათთვის მიმაგრებული მიწის ნაკვეთები.

ამა თუ იმ საწარმოსა და დაწესებულებაში მუშაობიდან დათხოვნისას მუშები და მოსამსახურეები ჰკარგავენ მათთვის მიცემული საბოსტნე ნაკვეთებით სარგებლობის უფლებას (მოსავლის აღების შემდეგ), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სამუშაოდან დათხოვნა დაკავშირებულია წითელ არმიაში გაწვევასთან, პენსიაზე ან ინვალიდობაზე გადაყვანასთან, ავადმყოფობასთან, სასწავლოდ მივლინებასა და სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან. საბოსტნე ნაკვეთის სხვა პირებისათვის თვითნებურად გადაცემის შემთხვევაში მუშებსა და მოსამსახურეებს ერთმევათ მათით სარგებლობის უფლება.

საოლქო და სამხარეო საბჭოების აღმასკომებს, რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს და სახალხო კომისარიატებს, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს წინადადება მიეცათ დაუყოვნებლივ გააჩაღონ მზადება საგაზაფხულო თესვისათვის—მიაღწიონ იმას, რომ ყველა მუშა და მოსამსახურე სავსებით იქნას უზრუნველყოფილი სათესლე მასალით, აღმოუჩინონ მათ აგროტექნიკური დახმარება კარტოფილის ბოლქვების წვეროების დამზადებაში და სხვ. საგაზაფხულო სამუშაოთა დაწყებამდე ადგილობრივ საწარმოებში მათ უნდა მოაწყონ აგრეთვე საბოსტნე ინვენტარის რემონტი და დამზადება, პროფკავშირებთან ერთად გააჩაღონ ნიადაგის დამუშავებისა და განოყიერების, თესლის მომზადების, ნათესთა მოვლის საშუალებათა პროპაგანდა. საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებამდე მოწყობილ უნდა იქნას თესლის (პროფკავშირული ორგანიზაციების განაცხადებით) და მინერალური სასუქის ყიდვა სავაჭრო ქსელის საშუალებით. (ტასი).

კომუნისტი

კვირა, 11 თებერვალი, 1945 წ. № 30 (7245)

მოვაწყოთ სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის ქვანახშირის საუკეთესო უბნისათვის!

მიმართვა

სტალინოს ოლქის შახტების უბანთა უფროსებისა და სამთო ოსტატებისა საბჭოთა კავშირის შახტების უბანთა ყველა უფროსისა და სამთო ოსტატისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

გმირი წითელი არმია დიდი სტალინის წინამძღოლობით განაგრძობს ძლევამოსილ შეტევას ფაშისტური გერმანიის სიღრმეში. პირველხარისხოვანი საბრძოლო ტექნიკით აღჭურვილი წითელი არმიის დარტყმებით ზედიზედ ინგრევა გერმანიის თავდაცვის ბასტიონები. მძლავრი საბჭოთა ინდუსტრია მთელი თავისი ძალით ეხმარება წითელ არმიას დაამთავროს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურება, ბოლო მოუღოს ფაშისტ მხეცს მის საკუთარ ბუნაგში და ჩვენი გამარჯვების დროშა ააფრიალოს ბერლინში.

ფრონტისადმი დახმარების საქმეში სულ უფრო და უფრო მეტ როლსასრულებს აღორძინების გზაზე მდგომი ქვანახშირის დონბასი. დონეცის მაღაროელები, აღადგენენ რა გერმანელი დამპყრობლების მიერ დანგრეულ შახტებს, განუწყვეტლივ ადიდებენ ქვანახშირის ამოღებას.

გასული 1944 წელი ქვანახშირის დონბასმა დიდი წარმატებით აღნიშნა. „სტალინუგოლის" კომბინატმა 107,9 პროცენტით შეასრულა წლიური დავალება. „კრასნოარმეისკუგოლის", „კალინინუგოლის", „რუტჩენკოვუგოლის", „მაკეევუგოლის" და სხვა ტრესტებმა 600 ათას ტონაზე მეტი ქვანახშირი მისცეს გამარჯვების სტალინურ ფონდს გეგმის გადამეტებით.

მაგრამ ჩვენს მიერ მიღწეული წარმატებები მხოლოდ დასაწყისია დიდი მუშაობისა გერმანელების მიერ დანგრეული დონბასის აღორძინებლად. ჯერ კიდევ დიდი შეუპოვარი და მძიმე შრომა მოგველის, რათა აღვადგინოთ მისი წინანდელი სიმძლავრე და დიდება.

დონბასის მეშახტეების წინაშე, ისევე როგორც კუზბასის, მოსკოვის, ყარაგანდის, ურალისა და ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის სხვა აუზთა მეშახტეების წინაშე, 1945 წელს დგას უაღრესად სერიოზული ამოცანა — სავსებით უზრუნველჰყონ სათბობით სახალხო მეურნეობის მზარდი მოთხოვნილება.

ამ ამოცანის შესრულებისათვის დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია ჩვენ, უბნების უფროსებსა და სამთო ოსტატებს.

ამხანაგ სტალინს არა ერთხელ აღუნიშნავს ხაზგასმით, თუ რაოდენ დიდია მეთაურის როლი წარმოებაში. რომ უხელმძღვანელო, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — ამისათვის საჭიროა განჭვრეტა, და მეთაური მოვალეა განჭვრიტოს ყველა ვიწრო ადგილი და დროულად მიიღოს ზომები მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სახკომსაბჭომ თავიანთ დადგენილებაში დონბასის ქვანახშირის მრეწველობის მუშაობის შესახებ აღნიშნეს, რომ: „უბნის უფროსი თავისი უბნის სამუშაოთა სრულუფლებიანი ხელმძღვანელია, უშუალოდ აგებს პასუხს გეგმის შესრულებისათვის ყველა მაჩვენებელთა მიხედვით და ახორციელებს უბანზე ყველა სამუშაოთა ოპერატიულ ხელმძღვანელობას".

არანაკლებ როლს ასრულებს სამთო ოსტატიც — უბნის უფროსის პირველი თანაშემწე. მის ხელმძღვანელობაზე ბევრად არის დამოკიდებული ცვლის საწარმოო გეგმის შესრულება.

ჩვენს რიგებში ბევრია ისეთი მეთაური, რომელიც სავსებით იყენებს ერთმმართველობის უფლებებს, იჩენს ინიციატივას, გვიჩვენებს უბანზე სამუშაოთა მოწყობის ნიმუშებს.

„სტალინუგოლის" ტრესტში ფართოდ არის ცნობილი № 10 შახტ „ჩეკისტის" მეორე უბნის უფროს ამხ. გუბენკოს სახელი. იგი ხელმძღვანელობს მუშაობას 180 მეტრი სიგრძის ლავაში, რომელიც აღჭურვილია საჭრელი მანქანითა და 3 საკონვეიერო დანადგარით. ამხ. გუბენკომ გამოიყენა საგზურები სამთო ოსტატების მიერ ცვლების მიღება-გადაცემისათვის მუშაობის დროს. ამჟამად ეს უბანი ერთ-ერთი საუკეთესო უბანია „სტალინუგოლის" ტრესტში.

კარგად მოაწყო მუშაობა შახტ „ნოვო-მუშკეტოვოს" უბნის უფროსმა ამხ. ანტროშჩენკომ. მისი ლავა, რომლის სიგრძე 150 მეტრს უდრის, სისტემატურად იძლევა ციკლს და მეტსაც, უბნის ყველა მუშა მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებს გამომუშავების ნორმებს.

დიმიტროვის სახელობის № 5-6 შახტში კარგად მუშაობს უბნის უფროსი ამხ. ტკაჩენკო, მისი მუშაობა გამოირჩევა მაღალი ტექნიკური კულტურით. მთელი საწარმოო პროცესი აგებულია მტკიცე გრაფიკის საფუძველზე, და ლავა ციკლზე მეტს აკეთებს დღეღამეში.

ჩვენ მოგმართავთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, საბჭოთა კავშირის შახტების ქვანახშირის უბნების მეთაურებო, მოწოდებით — მოაწყოთ სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება საუკეთესო უბნისათვის.

ჩვენ, სტალინოს ოლქის შახტების უბნების უფროსები და სამთო ოსტატები, „სტალინუგოლის" კომბინატის მიერ 1945 წლის გეგმის ვადამდე შესრულების და გეგმის გადამეტებით 400 ათასი ტონა ქვანახშირის ამოღების, აქედან პირველ კვარტალში 100 ათასი ტონის ამოღების უზრუნველსაყოფად შემდეგ სოციალისტურ ვალდებულებებს ვკისრულობთ საუკეთესო უბნისათვის მოწყობილ სრულიად-საკავშირო შეჯიბრებაში:

1. მოვაწყოთ ჩვენს უბნებზე მუშაობა, რომელიც უზრუნველჰყოფს სადღეღამისო, თვიურ და კვარტალურ სახელმწიფო საგეგმო დავალებათა შესრულებას ქვანახშირის ამოღებისა და მოსამზადებელ სამუშაოთა დარგში სულ ცოტა 105 პროცენტით.

2. უზრუნველვყოთ უბნისათვის დაწესებული ნაცრიანობის სტანდარტების შემცირება სულ ცოტა 3 პროცენტით.

3. შევასრულოთ უბნისათვის დაწესებული შრომის ნაყოფიერების გეგმა სულ ცოტა 102 პროცენტით.

4. უზრუნველვყოთ უბანზე, რომ ყველა მუშამ მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულოს გამომუშავების ნორმები.

5. უზრუნველვყოთ, რომ უბანზე შესრულებულ იქნას სამაგრი მასალების ხარჯვის დაწესებული ნორმა.

6. უზრუნველვყოთ უბნის მუშების, მექანიზმებისა და მოწყობილობის სწორი განლაგება და გამოყენება. შევასწავლოთ უბანზე ახლადმოსულ მუშებს წამყვანი პროფესიები, ავამაღლოთ უბნის ყველა მაღაროელის კვალიფიკაციის დონე, ვასწავლოთ მათ შრომის მოწინავე სტახანოვური მეთოდები.

7. ქვანახშირის უბნების სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩავაბათ მეშახტეთა კოლექტივები და მოვაწყოთ მუშათა შეჯიბრება პროფესიების მიხედვით.

ძვირფასო ამხანაგებო, მთელი ძალ-ღონე მოვახმაროთ იმას, რომ 1945 წელს საბჭოთა კავშირის შახტებმა მისცენ ჩვენი საყვარელი სამშობლოს მრეწველობას, ტრანსპორტსა და მთელ სახალხო მეურნეობას იმდენი ქვანახშირი, რამდენიც საჭიროა ჰიტლერული გერმანიის სრული და საბოლოო განადგურებისათვის.

მიღებულია სტალინოს ოლქის შახტების უბნების უფროსთა და სამთო ოსტატთა საოლქო კრებაზე.

ნაშრომი ფულის მიმოქცევის თეორიის შესახებ

მოსკოვი, 9 თებერვალი. (საკდესი). სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დააკმაყოფილა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბჭოს შუამდგომლობა „ფინანსებისა და კრედიტის" კათედრის პროფესორ ნ. ნ. ქოიავასთვის ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭების შესახებ.

ნ. ნ. ქოიავა 35 მეცნიერული ნაშრომის ავტორია. ამხ. ქოიავას სადოქტორო დისერტაცია მიძღვნილია ფულისა და მისი მიმოქცევის თეორიისადმი.

ამიერკავკასიის მუსიკალური ხელოვნების აყვავება

მოსკოვი, 9 თებერვალი. (საკდესი). ჩვენი ქვეყნის კულტურული ცხოვრების დიდ მოვლენას — ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუსიკის დეკადას, რომელიც ამას წინათ დამთავრდა, მოსკოვის მუსიკალური საზოგადოებრიობა კვლავ დიდ ყურადღებას უთმობს. აქ დეკადის შედეგებს მიეძღვნა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის მორიგი სხდომა. თებერვლის დამლევს მოსკოვში მოწვეულია ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხელოვნების საქმეთა სამმართველოების ხელმძღვანელთა თათბირი, რომელიც განიხილავს ნაციონალური მუსიკალური ხელოვნების შემდგომი განვითარებისაკენ მიმართულ ღონისძიებებს. საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ხელოვნების საქმეთა კომიტეტის მუსიკალურ დაწესებულებათა მთავარი სამმართველოს უფროსმა სურინმა განაცხადა:

— დეკადის პირველმავე კონცერტებმა, რომლებიც დაიწყო სომხეთის ოსტატთა და სახალხო მუსიკალურ კოლექტივთა გამოსვლებით, ცხადჰყვეს, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუსიკალური ხელოვნება ომიანობის წლებში ფართოდ და მრავალფეროვნად ვითარდება. ჩვენ ამჟამად ამიერკავკასიის ხალხთა სიმფონიური კულტურის მძლავრი აყვავების მოწმენი ვართ და მათთან ერთად ვახარებენ ეს წარმატებანი.

ომიანობის წლებში შექმნილია საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კომპოზიტორთა თვალსაჩინო ნაწარმოებები — ა. ხაჩატურიანის, ა. ბალანჩივაძის, შ. მშველიძის, გ. კილაძის, ა. სტეპანიანისა და მუსიკალური ხელოვნების სხვა ოსტატთა სიმფონიები, რაც შესრულებულ იქნა დეკადის დღეებში.

სურინი შეეხო ამიერკავკასიაში ინსტრუმენტალური კონცერტის ჟანრის განვითარებას და აღნიშნა ტუსკიას, ეგიაზარიანის სავიოლინო კონცერტები, მაჭავარიანისა და ბაბაჯანიანის საფორტეპიანო კონცერტები ვირტუოზული საკონცერტო-სიმფონიური ოსტატობის ნიმუშებს წარმოადგენენო. ამ წარმატებებს მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვთ, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკების სიმფონიურმა კულტურამ სწრაფი განვითარება სულ ამ ცოტა ხნის წინათ დაიწყო. ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია აზერბაიჯანის სს რესპუბლიკა, სადაც ომიანობის წლებში 20-ზე მეტი სიმფონიური ნაწარმოები შეიქმნა. ს. ჰაჯიბეკოვმა, ქ. ყარაევმა, ფ. ამიროვმა, ღ. ჰაჯიევმა და სხვებმა თავიანთ ნაწარმოებებში გამოავლინეს მაღალი კომპოზიტორული კულტურა და, რაც მთავარია, ახლის მკვეთრი გრძნობა. სომხეთის, საქართველოს და აზერბაიჯანის ნიჭიერ ახალგაზრდა კომპოზიტორთა და შემსრულებელთა მრავალმნიშვნელი ჯგუფი განსაზღვრავს ამიერკავკასიის მუსიკალური კულტურის შემდგომი ზრდის სასიხარულო პერსპექტივებს. ძველი თაობის ისეთ კომპოზიტორებთან ერთად, როგორიც არის უზეირ ჰაჯიბეკოვი, შემოქმედებითად მწიფდება ნიჭიერ კომპოზიტორთა მთელი პლეადა — ა. ბაბაჯანიანი, ქ. არუთინიანი, გ. ჩებოტარიანი, რ. გაბიჩვაძე, გ. თორაძე და სხვები.

დეკადა საბჭოთა ამიერკავკასიის მუსიკალური კულტურის კიდევ უფრო მაღალი განვითარების ახალი მძლავრი სტიმული იქნება.

მოსკოვის ამბები

(„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან)

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ახალი შენობა

ომამდე ცოტა ხნით ადრე მოსკოვში დაიწყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მთავარი შენობის აგება. ომის გამო შეწყვეტილი სამუშაოები უახლოეს ხანში განახლდება. მთავრობის გადაწყვეტილებით, მეცნიერებათა აკადემიის შენობა მზად იქნება 1948 წლის მაისისათვის. თქვენს კორესპონდენტთან საუბარში პროექტის ავტორმა აკადემიკოსმა შჩუსევმა ილაპარაკა მეცნიერების მომავალი სასახლის შესახებ, რომელშიც მოთავსებული იქნება აკადემიის პრეზიდიუმი და აკადემიის ზოგიერთი დაწესებულება. მთავარი შენობის საერთო მოცულობა ორასი ათას კუბურ მეტრს მიაღწევს. შენობაში მოთავსებული იქნება წიგნთსაცავი ექვსი მილიონი ტომისათვის, ორი მუზეუმი. შენობის არქიტექტურა კლასიკური ხასიათისაა. ორასი ათასი ათას კვადრატულ მეტრიანი მთელი ნაკვეთი შემოღობილი იქნება და უხვად გამწვანდება. შენობის მოსაპირკეთებლად გამოიყენებენ მოსკოვის თეთრ ქვას, ფერად შორეკეცებს და სხვა მოსაპირკეთებელ მასალას.

28 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგიის ეკონომია

გასული წლის მეოთხე კვარტალში მოსკოვის მრეწველობამ, წინასწარი შედეგების მიხედვით, დაზოგა 28 მილიონზე მეტი კილოვატსაათი ელექტროენერგია. ქარხნები, რომლებმაც საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს, მიიღებენ პრემიას.

„ივანე მრისხანეს" მეორე სერია

მოსკოვის კინოთეატრებში კვლავ დიდი წარმატებით უჩვენებენ ეიზენშტეინის ახალ კინოსურათს „ივანე მრისხანეს". თქვენს კორესპონდენტთან საუბარში ეიზენშტეინმა ილაპარაკა თავისი მუშაობის შესახებ ფილმის მეორე სერიაზე. მეორე სერია ძირითადად გადაღებულია ალმა-ატაში პირველ სერიასთან ერთად. გადაღება დამთავრდება მოსკოვში. მეორე სერიაში ნაჩვენები იქნება ივანე მრისხანის მოღვაწეობის შესანიშნავი ეტაპი — ფეოდალ ბოიარინების განადგურება და ლიკვიდაცია. ეიზენშტეინის ვარაუდით, მაყურებელი მეორე სერიას ამა წლის ზაფხულში ნახავს.

გრიბოედოვის სახელობის სკოლა

მოსკოვის 29-ე საშუალო სკოლაში შედგა საზეიმო სხდომა, მიძღვნილი ამ სკოლისათვის ა. ს. გრიბოედოვის სახელის მიკუთვნებისადმი. სკოლის მასწავლებლებსა და მოსწავლეებს სიტყვით მიმართა რსფს რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარმა ამხ. პოტიომკინმა. მან განაცხადა, რომ სკოლის შესანიშნავი პედაგოგიური კოლექტივი, სწავლებისა და აღზრდის საუკეთესო ხარისხი, შრომის მაღალი კულტურა — ყველაფერი ეს 29-ე სკოლას ხდის მოსკოვის სანიმუშო სკოლად.

უკრაინის პირველი ფრონტი. გერმანულ სილეზიაში. საბჭოთა ტანკები ქალაქ ტოსტის ქუჩებში. ფოტო რ. მაზელევისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

საერთაშორისო მიმოხილვა

წითელი არმიის მძლავრი შეტევა, რაც იანვარში დაიწყო, შეუნელებელი ტემპებით გრძელდება.

მთელ უზარმაზარ ათასკილომეტრიან ფრონტზე ჩვენი ჯარები განუხრელად მიიწევენ წინ. მატულობს მტრისათვის წართმეული დავლის რაოდენობა, მრავლდება მოკლულ და ტყვე გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა რიცხვი. წითელი არმიის შეუჩერებელ შეტევას განცვიფრებაში მოჰყავს ზოგიერთი უცხოელი მიმომხილველი, რომლებმაც თავი შეირცხვინეს თავიანთი წინასწარმეტყველებით, რომ საბჭოთა ჯარების წინსვლა „გამოიფიტება" და მას გერმანელები ოდერის ხაზზე „შეაჩერებენო".

ამ მდინარის გადალახვა და მის დასავლეთ ნაპირზე საბჭოთა ხიდწინა სიმაგრეების შექმნა წითელი არმიის ერთ-ერთი უაღრესად შესანიშნავი ოპერაციაა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის მსვლელობაში. ჩვენი მოკავშირე ქვეყნების პროგრესიული პრესა ერთსულოვნად აღნიშნავს უმაგალითო გაქანებასა და სიმძლავრეს საბჭოთა შეტევისას, რომელმაც მოიცვა მთელი სივრცე ბალტიის ზღვიდან ბუდაპეშტამდე.

კომენტატორები აღნიშნავენ, რომ ფრონტების ბრწყინვალედ განხორციელებულმა თანამოქმედებამ, და ყველა გვარეობის ჯარების მოქმედების უნარიანმა კოორდინაციამ საშუალება მისცა საბჭოთა მთავარსარდლობას დიდ სიღრმეზე შეჭრილიყო გერმანიის თავდაცვაში, არევ-დარევა შეეტანა მოწინააღმდეგის ჯარებში და განსაცვიფრებელი ძალის დარტყმები მიეყენებინა მათთვის. მიმომხილველნი ხაზგასმით აღნიშნავენ წითელი არმიის მანევრის მაღალ ხელოვნებას, რის მეოხებითაც მოწინააღმდეგის დიდი დაჯგუფებანი მომწყვდეულ იქნენ მთელ რიგ „ქვაბებში". გერმანელთა მრავალი დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტის ბლოკირება და მოწინააღმდეგის გარშემორტყმული გარნიზონების წარმატებით მოსპობა კვლავ განსაკუთრებით მკაფიოდ ცხადჰყოფს წითელი არმიის სტრატეგიისა და ტაქტიკის უპირატესობას ჰიტლერელთა სტრატეგიისა და ტაქტიკის წინაშე. სამხედრო სპეციალისტები განცვიფრებაში მოჰყავს წითელი არმიის ზურგისა და მომარაგების სამსახურის ბრწყინვალე ორგანიზაციას, რის მეოხებითაც საბჭოთა ჯარები განუწყვეტლივ აძლიერებენ თავიანთ დარტყმებს გერმანიის ჯარების წინააღმდეგ და შესაძლებლობა აქვთ განახორციელონ თავიანთი უმაგალითო შეტევა მტრის ტერიტორიაზე. უცხოეთის პრესა აღნიშნავს ამხანაგ სტალინის როლს, ვისმა მხედართმთავრულმა გენიამ და ორგანიზატორულმა ნიჭმა უზრუნველჰყო წითელი არმიის მთელი ეს ისტორიული გამარჯვებანი.

თავზარდაცემული ჰიტლერელები იძულებული არიან აღიარონ იმ დამარცხების კატასტროფული ხასიათი, რომელიც მათ განიცადეს. გებელსის ორგანო — გაზეთი „დას რაიხი" 6 თებერვალს სწერდა, რომ „საბჭოების შემოტევამ გაარღვია გერმანელების მიერ აგებული ჯებირები". ჰიტლერული სააგენტო ტრანსოცეანი 8 თებერვალს თავის სამხედრო მიმოხილვაში საბჭოთა არმიების წინსვლას „გიგანტურ თოვლსაწმენდს" ადარებს, ხოლო გერმანიის საინფორმაციო ბიურო იმავე დღეს თავისი სამხედრო მიმომხილველის მაქს კრულის სტატიაში ბალტიის ზღვისა და ოდერს შუა მდებარე უბანზე არსებულ მდგომარეობას ახასიათებს, როგორც „განსაკუთრებით დაძაბულს".

ჰიტლერელი მეთაურები ცდილობენ ხვრეტითა და სასტიკი რეპრესიებით ჩაახშონ გერმანიის მოსახლეობისა და ადმინისტრაციის პანიკა და აბნეულობა. ხშირდება სიკვდილით დასჯა და საჯარიმო ბატალიონებში გაგზავნა თვალსაჩინო ჰიტლერელებისაც კი, რომლებიც გაიქცნენ თავიანთი პოსტებიდან, გერმანიის აღმოსავლეთ რაიონებში რომ ეკავათ. სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა ყოფილ შტანდარტენფიურერს და ბრომბერგის პოლიციის უფროსს ფონ სალომს, რომელსაც ბრალი დასდეს სიმხდალეში. ბრომბერგის საოლქო სამმართველოს უფროს კიუნს, ბრომბერგის ყოფილ ბურგომისტრ ერნსტს და ნაცისტთა რაიონულ ხელმძღვანელ რამფს ხარისხი აჰყარეს და საჯარიმო ბატალიონებში გაგზავნეს.

შიშით შეპყრობილი გერმანელები აღმოსავლეთ გერმანიის რაიონებიდან გაეშურნენ დასავლეთისაკენ, კერძოდ, ბერლინს.

როგორც ბევრი ინგლისელი და ამერიკელი მიმომხილველი აღნიშნავს, საბჭოთა შეტევამ საბოლოოდ შეარყია გერმანელებს იმის რწმენა, რომ შესაძლებელია გააჭიანურონ დასასრული რამდენადმე გრძელი ვადით, და უკვე ამ ეტაპზე წაართვა გერმანიას დიდმნიშვნელოვანი სტრატეგიული რესურსები, რაც მისი სამხედრო პოტენციალის არსებით ნაწილს შეადგენდა. ინგლისელ ექსპერტთა გამოანგარიშებით, გერმანიამ ამ უკანასკნელ კვირებში [illegible] დაკარგა მესამედი ნაწილი მთელი თავისი მარცვლეული რესურსებისა, მეოთხედი კარტოფილის მიწოდებისა, მეხუთედი ხორცის მიწოდებისა, მეოთხედი ერბო-კარაქის მიწოდებისა. ამას უნდა დავუმატოთ ის, რომ გერმანიამ დაკარგა დიდმნიშვნელოვანი სამხედრო-სამრეწველო რაიონი — ზემო სილეზიის რკინის, ქვანახშირისა და ფერადი ლითონების მარაგებით. ამრიგად, საბჭოთა ჯარებმა თავიანთი შეტევით გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს ჰიტლერულ გერმანიას და კიდევ უფრო შეასუსტეს იგი დამამთავრებელი ბრძოლების წინ, რითაც წინასწარ განსაზღვრეს გაერთიანებულ ერთა მალე გამარჯვების გარდუვალობა. წითელი არმიის შეტევამ არა მარტო შებოჭა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გერმანიის არმიის ძირითადი ძალები (200-ზე მეტი დივიზია), არამედ გერმანიის ჯარების მასობრივი გადმოყვანაც გამოიწვია დასავლეთის ფრონტიდან აღმოსავლეთის ფრონტზე. ეს მას ნიშნავს, რომ ამჟამად დასავლეთში შეიქმნა ხელსაყრელი ვითარება მოკავშირეთა დიდი შეტევითი ოპერაციებისათვის.

კანადის გაზეთი „ფრი პრესი", ეხებოდა რა დასავლეთიდან აღმოსავლეთში გერმანიის დივიზიების გადმოყვანას, ამ დღეებში სწერდა, რომ „ეს შესაძლებლობას აძლევს ეიზენჰაუერს განავითაროს ინგლის-ამერიკის მასიური შეტევა და ბოლო მოუღოს მტრის წინააღმდეგობას".

საბჭოთა გაზეთების მიერ გამოქვეყნებულ ცნობაში სამი მოკავშირე სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის — ხელმძღვანელთა კონფერენციის შესახებ ნათქვამია: „არსებობს სრული თანხმობა ნაციტური გერმანიის წინააღმდეგ ომის საბოლოო ფაზაში ერთობლივი სამხედრო ოპერაციების შესახებ". ესოდენ ავტორიტეტული განცხადება სავსებით უჭრელს ხდის იმას, რომ მოკავშირეები ინარჩუნებენ ერთსულოვნებას გერმანიის წინააღმდეგ ომში კოალიციური სტრატეგიის საკითხებზე და რომ მტრის ყოველმა ცდამ — განხეთქილება შეეტანა გაერთიანებულ ერთა ბანაკში — კვლავ კრახი განიცადა.

სამი მოკავშირე სახელმწიფოს ხელმძღვანელთა კონფერენცია მიზნად ისახავს საერთო მტრის განადგურების დამთავრების გეგმების კოორდინაციას და სხვა მოკავშირეებთან ერთად ხანგრძლივი მშვიდობიანობის მტკიცე საფუძველთა დამყარებას.

ადარებს რა ამხანაგ სტალინის, რუზველტისა და ჩერჩილის ახლანდელ შეხვედრას თეირანში შემდგარ შეხვედრასთან, ინგლისური გაზეთი „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი" სწერს, რომ მოკავშირეები ამჟამადაც ასევე ბრწყინვალედ და ზუსტად ახორციელებენ თავიანთ გეგმებს, რომლებიც შეეხება ომის საბოლოო ფაზას.

„თუ გერმანიის სტრატეგიული რეზერვის მნიშვნელოვანი ნაწილი, — სწერდა გაზეთი „ტაიმსი" 7 თებერვალს, — გადაყვანილია რუსეთის ფრონტზე რუსეთის შესანიშნავ გამარჯვებათა შედეგად, შეიძლება გარანტირებულად ჩაითვალოს, რომ მოკავშირეები დასავლეთში ხელიდან არ გაუშვებენ შემთხვევას, რათა მაქსიმალური სარგებლობა მიიღონ გერმანელების მიერ თავიანთი ჯარების მოკავშირეთა საწინააღმდეგო ფრონტიდან წაყვანით..."

განიცადეს რა დამარცხება თავიანთ ცდებში „ყაიმით დაემთავრებინათ თამაში" სხვადასხვა ფარული დიპლომატიური ნაბიჯებისა და „საზავო მანევრების" გზით, ჰიტლერელები ჯერ კიდევ არ იღებენ ხელს ამის ცდაზე, რომ განხეთქილება შეიტანონ გაერთიანებულ ერთა ბანაკში. კერძოდ, ამ მიზანს ისახავს მათი მისწრაფება გამოიყენონ არციშევსკისა და კომპანიის ტიპის პოლონელი რეაქციონერები.

ამავე დროს ჰიტლერელები გერმანიის დამარცხების შემთხვევისათვის აწარმოებენ მზადებას, რის შესახებაც გაფრთხილებას იძლეოდა 1944 წლის 6 ნოემბრის თავის მოხსენებაში ამხანაგი სტალინი. ჰიტლერელები ემზადებიან იატაკქვეშეთში გადასასვლელად, რათა მოაწყონ მესამე მსოფლიო ომი. ამ მიზნით მათ თავიანთი კაპიტალები გადააქვთ ეგრეთწოდებულ „ნეიტრალურ" ქვეყნებში, გზავნიან იქ თავიანთ აგენტურას, ამზადებენ დივერსანტთა კადრებს გერმანიის ტერიტორიაზე, აგრეთვე ესპანეთში, არგენტინასა და სხვა ქვეყნებში.

მოკავშირეთა ერთიანობა უზრუნველჰყოფს ფაშიზმის ამ მუქარის ლიკვიდაციასაც, მუქარისა, რომელიც მიმართულია მთელი კაცობრიობის წინააღმდეგ.

ბ. ბესპალოვი.

კ. ჭიჭინაძე

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოადგილე მეცხოველეობის დარგში.

მეტი ყურადღება მეაბრეშუმეობის განვითარებას

აბრეშუმზე ჩვენს ქვეყანაში დიდი მოთხოვნილებაა. აბრეშუმი საჭიროა არა მარტო ფართო მოხმარების საგნების გამოსამუშავებლად. ის საჭიროა ფრონტისათვის. მას დიდი გამოყენება აქვს ელექტროტექნიკაში, მედიცინაში.

საქართველოში მეაბრეშუმეობა ცნობილია ძველი დროიდან. საბჭოთა ხელისუფლების დროს საქართველოში მეაბრეშუმეობამ დიდი გასაქანი ჰპოვა. აშენებულია მრავალი აბრეშუმის სახვევი და საქსოვი ფაბრიკა, სერიოზული მუშაობა ჩატარდა, განსაკუთრებით უკანასკნელი 10-12 წლის განმავლობაში, მეაბრეშუმეობის საკვები და ტექნიკური ბაზის შექმნისათვის. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მეაბრეშუმეობას ფართოდ მოჰკიდეს ხელი კოლმეურნეობებმა. თუ 1942 წელს განსაზოგადოებულად გამოკვებილი იყო აბრეშუმის ჭიის მხოლოდ 8 პროცენტი, 1944 წელს განსაზოგადოებულად გამოკვებილია 92,5 პროცენტი. 1944 წლის სეზონისათვის დათბუნებულ იქნა 21 ათასზე მეტი ბინა დაახლოებით 45 ათასი კოლოფი აბრეშუმის ჭიისათვის, აშენდა 21 ათასზე მეტი ღუმელი, მათ შორის 9.000 ფრანკლინის სისტემისა.

1944 წლის პირველი კვარტალის განმავლობაში აგროტექნიკური კურსები გაიარა 99 ათასზე მეტმა მეაბრეშუმემ. მოკლევადიან კურსებზე გადამზადდა მეაბრეშუმეობის 15.800 ბრიგადირი და მერგოლური.

ყოველწლიურად მეაბრეშუმეთა სულ მეტი და მეტი მასები ითვისებენ აბრეშუმის ჭიის გამოკვების ქისტაურულ მეთოდს და თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ პარკის მაღალი მოსავლის მიღებაში.

სამწუხაროდ გააუმჯობესეს მუშაობა საგრენაჟო ქარხნებმა, რომელნიც უშვებენ ჯანსაღ და შემოწმებულ, ადგილობრივი პირობებისათვის გამოსადეგ სხვადასხვა ჰიბრიდულ და მაღალმოსავლიან თესლს.

მიუხედავად ამისა, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში საქართველოს მეაბრეშუმეებმა ვერ უზრუნველჰყვეს მთავრობის მიერ დაწესებული პარკის დამზადების გეგმის შესრულება. 1944 წელს პარკის დამზადების გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს მხოლოდ თბილისის, საგარეჯოს, გორის, ხაშურის, თელავის, ორჯონიკიძის და ჭიათურის რაიონებმა. გეგმის შესრულებას მიუახლოვდნენ მცხეთის, ყვარლის, ზესტაფონის, საჩხერის, ცაგერის, გეგუთის და ამბროლაურის რაიონები.

ცნობილმა მეაბრეშუმემ პაშა შუბლაძემ (სამტრედიის რაიონი) 1944 წლის 10 მაისს საბჭოთა კავშირში პირველმა ჩააბარა სახელმწიფოს ნახევარი კოლოფი აბრეშუმის ჭიიდან 35 კილოგრამი პარკი. ამხ. შუბლაძემ აბრეშუმის ჭიის გამოკვების საქმეში ფართოდ გამოიყენა ქისტაურული მეთოდი და პარკი მიიღო ჭიის გამოცოცხლების მე-17 დღეს. ცნობილმა ქისტაურელმა ორდენოსანმა მეაბრეშუმემ ამხ. ანა კეიცაშვილმა პარკი მიიღო ჭიის გამოცოცხლების მე-15 დღეს და გეგმა 183 პროცენტით შეასრულა. ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი" მეაბრეშუმე ქალმა სოფრომაძემ 9 გრამი აბრეშუმის ჭიის თესლიდან 45 კილოგრამი პარკი მიიღო. წყალტუბოს რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმე ქალმა ლ. ნიკარაძემ ნახევარი კოლოფიდან მიიღო 49 კილოგრამი პარკი. ასეთი მოწინავე მეაბრეშუმენი არიან სხვა რაიონებშიც, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ერთეულებს შეადგენენ.

წყალტუბოს რაიონში 1944 წელს მხოლოდ 4 კოლმეურნეობამ შეასრულა სახელმწიფოსათვის პარკის ჩაბარების გეგმა. სამტრედიის რაიონში გეგმა შეასრულა მხოლოდ 2 კოლმეურნეობამ. ჩხარის და ზოგიერთი სხვა მეაბრეშუმეობის ძირითადი რაიონის არც ერთ კოლმეურნეობას გეგმა არ შეუსრულებია.

აშკარაა, რომ ზოგიერთ რაიონსა და კოლმეურნეობაში მეაბრეშუმეობას საჭირო ყურადღებას არ აქცევენ. ჯერ კიდევ ადგილი აქვს აბრეშუმის ჭიის მცირე საინკუბაციო კამერებიდან 4-5 დღის დაგვიანებით დარიგების, მისი უსუფთაო და უვარგის ბინებში მოთავსების, დამჭკნარი თუთის ფოთლით ჭიის გამოკვების მრავალ შემთხვევას. ზოგიერთი კოლმეურნეობა არ ეხმარება მეაბრეშუმეებს ტრანსპორტით საკვები ფოთლის გამოსაზიდავად. ბევრ შემთხვევაში მეაბრეშუმეებს არ ათავისუფლებენ სხვა სამუშაოებიდან.

მრავალ კოლმეურნეობაში არასაკმაო მოვლისა და კვების გამო აბრეშუმის ჭიის გამოკვება გაახანგრძლივეს 40-45 დღე და მეტი ხანიც. დამტკიცებული კი არის, რომ რაც უფრო მოკლე პერიოდში გამოიკვებება აბრეშუმის ჭია, მით უფრო მეტ და ხარისხიან პარკს გვაძლევს იგი, რადგან ადგილი აღარ აქვს ჭიის გადაბერებას, ჭია თავს აღწევს ზაფხულის სიცხეებს და ამრიგად მცირდება სიცხით გამოწვეულ დაავადებათა რიცხვი.

აბრეშუმის ჭიის მოკლე ვადებში გამოკვება ხელსაყრელია იმითაც, რომ მუშახელი უფრო ჩქარა განთავისუფლდება ამ სამუშაოდან სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში გამოსაყენებლად.

ქისტაურული მეთოდით აბრეშუმის ჭიის გამოკვების უპირატესობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ჭიის მოვლის გაუმჯობესებით, სანიტარული და ჰიგიენური პირობების მტკიცედ დაცვით და დღე-ღამის განმავლობაში ჭიის მრავალჯერ სუფთა და ხარისხოვანი ფოთლით კვების შედეგად აღწევენ პარკის მიღებას ჭიის გამოცოცხლების მე-17-20 დღეს.

აბრეშუმის დარგის სპეციალისტების, აგრონომ-ინსტრუქტორებისა და მეაბრეშუმეობის რაიონების ხელმძღვანელი ორგანოების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ფართოდ დანერგონ ქისტაურული მეთოდი. მეაბრეშუმეებს უნდა შეუქმნათ ყველა პირობა ჭიის საუკეთესო მოვლისათვის.

სამტრედიის, ცხაკაიას, წულუკიძის, ლანჩხუთის, ზუგდიდის, აბაშისა და ზოგიერთ სხვა რაიონში გასულ წელს იყო შემთხვევები, როცა აბრეშუმის ჭია უჭმელი რჩებოდა 4-5 დღის განმავლობაში. სამტრედიის რაიონის აბრეშუმის უფროს აგრონომ მელქაძის განცხადებით, ზოგიერთ სოფელში, განსაკუთრებით კი ქალაქში, ჭიას არ აჭმევდნენ ორისამი და მეტი დღის განმავლობაში ან კვებავდნენ უსუფთაო და სველი ფოთლით.

აბრეშუმის პარკის მაღალი მოსავლის მიღების ამოცანა ავალებს მეაბრეშუმეობის რაიონების პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს გადაჭრით გააუმჯობესონ მუშაობა და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ჭიის წესიერად და დროულად გამოკვებას. ამისათვის საჭიროა მეაბრეშუმეებმა ამთავითვე შეარჩიონ კარგი ბინები ჭიის მოსათავსებლად. ბინებში უნდა დავიცვათ სისუფთავე და ნორმალური ტემპერატურა.

მეაბრეშუმეობის შემდგომი აღმავლობისათვის გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს მტკიცე საკვები ბაზის შექმნა. გასულ წლებში იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც არ უვლიდნენ თუთის ხის ნარგავებს. ზოგან ეს, სამწუხაროდ, ამჟამადაც გრძელდება. წულუკიძის რაიონის სოფელ გუბის სტალინის, ბერიას და ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობებში 1943 წელს დარგული 1.500 ძირი თუთის ხე მოუვლელობის გამო განადგურდა. მსგავს ფაქტებს ადგილი ჰქონდა სამტრედიის რაიონის კოლმეურნეობა „განთიადში" და მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში. დროა მეაბრეშუმეობის რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ხელმძღვანელმა მუშაკებმა სათანადო ზომები მიიღონ იმისათვის, რომ თუთის ნარგავების მოვლა ყველგან საუკეთესოდ იყოს დაყენებული. რა არის ამისათვის საჭირო? უპირველეს ყოვლისა მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩავატაროთ თუთის ხის ნარგავთა ძირების შემობარვა, ეკალ-ბარდებისაგან გაწმენდა და სხვა. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1944 წლის 5 სექტემბრის დადგენილებაში დასახულია მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი თუთის ხის ნარგავთა საუკეთესოდ მოვლისათვის. ამ ღონისძიებებს დღემდე არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ ცხაკაიას, ჩხოროწყუს, ვანის, ზესტაფონის, ქარელის, მცხეთის, გურჯაანის, ბოლნისის რაიონებში.

საჭიროა გავშალოთ სერიოზული მუშაობა ჯიშიანი თუთის ხის ახალი პლანტაციების დიდი რაოდენობით გასაშენებლად. ეს განსაკუთრებით აუცილებელია აღმოსავლეთ საქართველოს მეაბრეშუმეობის რაიონებში. თუთის ნარგავები უნდა გავაშენოთ განსაზოგადოებულ ფართობებში, არხების, საცხოვრებელი ეზოების, სკოლების, კოლმეურნეობათა კანტორების ირგვლივ, კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებში და სოფლად არსებულ სხვა დაწესებულებათა საკარმიდამო ადგილებში.

მეაბრეშუმეობის სწრაფი აღმავლობისათვის ჩვენ ყველა პირობა გაგვაჩნია, მაგრამ თუ მთელი შესაძლებლობანი გამოყენებული არ არის, ეს იმითაც აიხსნება, რომ საქართველოს აბრეშუმის ტრესტი და მისი ადგილობრივი ორგანოები ჯერ კიდევ არასაკმაოდ ხელმძღვანელობენ მეაბრეშუმეობის განვითარებას. ასევე უნდა ითქვას მეაბრეშუმეობის სამეცნიერო კვლევითს ინსტიტუტზე.

საჭიროა საქართველოს აბრეშუმის ტრესტმა და მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა გადაჭრით გარდაქმნან მუშაობა, მეტი ოპერატიული ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიონ მეაბრეშუმეებს ჭიის გამოკვების, პარკის მაღალი მოსავლის მიღების საქმეში და უახლოეს ხანში უზრუნველჰყონ ამ დარგში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორება.

მეაბრეშუმეებს ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელ მომსახურებას უწევს სამომხმარებლო კოოპერაცია. მეაბრეშუმეობის სტიმულირებისათვის გამოყოფილი სამრეწველო საქონელი დროულად და საჭირო ასორტიმენტით არ ეგზავნება ადგილებს. ზოგან ეს საქონელი არ აღწევს მეაბრეშუმეებამდე, იფლანგება გზაში, ანდა მისი საუკეთესო ნაწილი თვით კოოპერაციის მუშაკებს შორის ნაწილდება. კოოპერაციის ხელმძღვანელმა ორგანოებმა, ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა და რაიაბრეშუმებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ მეაბრეშუმეობის სტიმულირებისათვის გამოყოფილი სამრეწველო საქონელი დაწესებული ასორტიმენტით, მთელი რაოდენობით და დროულად დაურიგდეს მეაბრეშუმეებს. ცეკავშირმა და საქართველოს აბრეშუმის ტრესტმა ამ საქმისადმი მტკიცე კონტროლი უნდა დააწესონ.

მოახლოვდა აბრეშუმის ჭიის დარიგების დრო. მაგრამ ზოგან ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ემზადებიან სეზონისათვის. გასაკეთებელი კი ბევრია. გასული წლის შემოდგომის ძლიერმა ქარებმა დასავლეთ საქართველოს მეაბრეშუმეობის მთელ რიგ რაიონებში საგრძნობლად დააზიანეს აბრეშუმის პარკის მისაღები ფარდულები. ამ ფარდულებისა და სხვა ტექნიკური ბაზის მომზადებისათვის ნაკლებად ზრუნავს საქართველოს აბრეშუმის ტრესტი. არც რაიონული ორგანიზაციები იღებენ ზომებს. ბევრი რამ სხვაც არის გასაკეთებელი. დროა გავაჩაღოთ მუშაობა, რათა ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ პარკის მიღებასა და პირველად გადამუშავებას.

ჩვენი ქვეყანა სასიხარულო დღეებს განიცდის. გმირი წითელი არმია უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის გენიალური მხედართმთავრობით ახლოვებს საბოლოო გამარჯვებას საძულველ მტერზე. მაგრამ გამარჯვება თავისთავად არ მოვა. იგი ფრონტზე სასტიკი ბრძოლით და ზურგში დაუღალავი შრომით უნდა მოვიპოვოთ. ეს კარგად ესმის საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებს, რომლებიც წარმატებით იბრძვიან სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. საჭიროა მოწინავეთა გამოცდილების დანერგვით, ძალთა ახალი დაძაბვით გადაჭრით გავაუმჯობესოთ მუშაობა მეაბრეშუმეობაში და წელს მივიღოთ აბრეშუმის პარკის უხვი მოსავალი. საქართველოს სს რესპუბლიკა აუცილებლად მოწინავე უნდა იყოს მეაბრეშუმეობაშიც. მეტი აბრეშუმის ნედლეული მივცეთ ჩვენს სოციალისტურ მრეწველობას. ამას მოითხოვენ ჩვენგან სამშობლო და ფრონტი.

ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲒᲧᲘᲑᲣᲚᲔᲚ ᲛᲔᲨᲐᲮᲢᲔᲗᲐᲒᲐᲜ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ ᲛᲔᲢ ᲥᲕᲐᲜᲐᲮᲨᲘᲠᲡ!

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲙᲚᲝᲕᲐᲜᲔᲑᲔᲑᲘ

ტყიბულის ახალი შახტების მშენებლობის სამმართველოს კოლექტივმა 1944 წელს ერთგვარი წარმატება მოიპოვა. თუ 1943 წელს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა მან მხოლოდ 79,9 პროცენტით შეასრულა, შარშან გეგმა შესრულდა 104,2 პროცენტით. დავამთავრეთ და საექსპლოატაციოდ გადავეცით აღმოსავლეთის ახალი შახტის მეორე ველი, № 1 ელექტროქვესადგური და ახალი სახლი № 31. განსაკუთრებით დიდი წარმატებები მოიპოვეს ტყიბულელმა შახტმშენებლებმა გასული წლის ოქტომბერში. ამით საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მათ მეორე ადგილი დაიკავეს.

გასულ წელს ტყიბულელმა შახტმშენებლებმა მთელი რიგი ახალი, დიდმნიშვნელოვანი სამუშაოები დაიწყეს. ამ სამუშაოთა მოცულობას ისიც გვიჩვენებს, რომ ერთ-ერთი ობიექტის აგება დაჯდება 32.500.000 მანეთი. ასეთი ობიექტები კი ჩვენ რამდენიმე გვაქვს. შარშან დავიწყეთ ტექნიკურად მეტად საინტერესო და სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით უაღრესად სასარგებლო ახალი ობიექტის მშენებლობა. იგი მოითხოვს დიდი გვირაბის გაყვანას.

გადაწყვეტილია ამ გვირაბში მომდინარე წყლის ძალა გამოყენებულ იქნას ჰიდროელსადგურისათვის, რომლის პროექტსაც ამჟამად ამუშავებენ.

რა ნაკლი გვქონდა გასულ წელს მუშაობაში?

სათანადო ყურადღებას არ ვაქცევდით სამუშაოთა შესრულების რეალურ მაჩვენებლებს და შედეგებს ვაფასებდით ათვისებული თანხების მიხედვით. ამიტომ ზოგი ძირითადი სამუშაო შეუსრულებელი გვრჩებოდა, რის გამო ტყიბულქვანახშირის ტრესტის მხრივ სამართლიანი საყვედური გვესმოდა.

ჩვენ არადამაკმაყოფილებლად ვმუშაობდით შარშან ცალკე ობიექტების მშენებლობაზე. ერთ-ერთი ობიექტის მშენებლობის გეგმა შევასრულეთ მხოლოდ 47,7 პროცენტით, სხვა ობიექტისა — 84,1 პროცენტით. ჯერაც არ დაგვიმთავრებია სატვირთავი ბუნკერის მშენებლობა და ლენინის სახელობის შახტის ელექტროდეპოს რეკონსტრუქცია. არადამაკმაყოფილებლად ვმუშაობთ სავენტილაციო-საკომპრესორო მეურნეობების გამართვაზე. ჩამოვრჩით საბინაო მშენებლობაშიც. რამდენიმე ათასი კვადრატული მეტრი ახალი საბინაო ფართობის ნაცვლად ჩვენ 876 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი ავაგეთ. აქედანაც დიდი ნაწილი მშენებლი მუშებისათვის დაგვჭირდა და ტყიბულქვანახშირის ტრესტს მხოლოდ 340 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი გადავეცით.

ვერ შევქმენით მოგვეწესრიგებინა შრომა. იყო შემთხვევები, როდესაც შრომის ცუდი ორგანიზაციის გამო მუშები ცდებოდნენ.

ვერ მოვაწესრიგეთ აგრეთვე მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი.

ამ და მთელ რიგ სხვა ნაკლოვანებებზე სამართლიანად მიგვითითა საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიონულმა კომიტეტმა.

ჩვენი ამოცანაა უახლოეს ხანში გამოვასწოროთ ეს ნაკლოვანებები. ბევრი უკვე გამოვასწორეთ, მუშაობა გავაძლიერეთ, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. საჭიროა ისე ვიმუშაოთ, ისეთი მაღალი ტემპები ავიღოთ, რომ მეშახტეებს ყოველმხრივ დავეხმაროთ ქვანახშირის ამოღებაში მძლავრი აღმავლობის მისაღწევად.

რა იწვევს ჩვენს მუშაობაში ნაკლოვანებებს?

ზოგიერთი დეფექტი გამოწვეულია ტრესტ შახტმშენის განყოფილებათა მოუქნელობით. სამუშაო ობიექტების ტექნიკური პოწყობილობებით მომარაგებას, აგრეთვე ხე-ტყის მასალების დროულად მოწოდებას ტრესტის ზოგიერთი განყოფილება სათანადო ყურადღებით არ ეკიდება. თუ ასე გაგრძელდა, საქმე წინ ვერ წავა. ხელს გვიშლის აგრეთვე ტრანსპორტის სიმცირე. ჩვენი სამუშაო ობიექტები დიდი მანძილით არიან ერთმანეთს დაშორებულნი, ხოლო არსებული სატრანსპორტო საშუალებებით მათთვის სათანადო მომსახურების გაწევა შეუძლებელია.

ტყიბულელ შახტმშენებელთა კოლექტივი მტკიცეა. ჩვენი მოწინავე ადამიანები ამხ. ჭელიშვილი, კობახიძე, სმილოვენკო და სხვები შრომითი მამაცობის შესანიშნავ მაგალითებს იძლევიან. მინდობილ სამუშაოებს ისინი მაღალხარისხოვნად, 150-200 პროცენტით ასრულებენ. ისეთ კოლექტივს, როგორიც ჩვენ გვყავს, ყველა დავალების შესრულება შეუძლია, მაგრამ საჭიროა მას დავეხმაროთ, დროულად მივაწოდოთ საჭირო მასალები.

წელს ტყიბულელები სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულნი არიან ტყვარჩელის ახალი შახტების მშენებლებთან. ამ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის მთელი რიგი კონკრეტული საწარმოო ვალდებულებები ვიკისრეთ. მაგალითად, მშენებლობის წლიური გეგმის 20 დეკემბრის შესრულება და შრომის ნაყოფიერების 10 პროცენტით გაზრდა.

ამ ვალდებულებათა შესასრულებლად ჩვენ ყველა პირობა გვაქვს. ეჭვი არ არის, რომ ტყიბულელი შახტმშენებლები, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ხელმძღვანელობით პირნათლად მოიხდიან ვალს სამშობლოს წინაშე, წარმატებით დაამთავრებენ მინდობილ სამუშაოებს და 1945 წელს მოგვცემენ შრომითი გმირობის ახალ ნიმუშებს.

შ. ცირეკიძე

ტყიბულის ახალი შახტების მშენებლობის სამმართველოს უფროსი.

ᲥᲕᲐᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘ ᲛᲝᲓᲘᲡ

ქვანახშირით მძიმედ დატვირთულ ეშელონებს განუწყვეტლივ მოასრიალებენ ქუთაისისაკენ მძლავრი ორთქლმავლები, რათა ქუთაისში ჩამოსვლისთანავე უკან გაბრუნდნენ და ცარიელი ვაგონები კვლავ სატვირთავ ბუნკერებს შეუყენონ ტყიბულელ მეშახტეთა დაუღალავი მარჯვენით მოპოვებული შავად მოლაპლაპე ქვანახშირის მისაღებად. აივსება ერთი ვაგონი, მეორეც, მესამეც, და როცა ეშელონი უკვე მზად არის, ორთქლმავალი უკანასკნელად შეკივლებს და ქუთაისისაკენ დაიძვრება.

სადგურიდან დაღმართი იწყება. უცნაურად დაკლაკნილ სარკინიგზო ვაკისზე ქვანახშირის ეშელონი შეუდარებელი სილამაზით უხვად დაჩილდოებულ ხეობებსა და მთა-გორაკებს შორის გაქრება და მისი საყვირის ხმა ერთხელ კიდევ დაარღვევს მომხიბლავი ოკრიბის სოფლების მყუდროებას.

შეუფერხებლივ, ზუსტად გრაფიკის მიხედვით ისტუმრებენ ყოველ დღე და ყოველ ღამე ასე მძიმედ დატვირთულ ეშელონებს ქვეყნის სამრეწველო რაიონებისაკენ ტყიბულელი რკინიგზელები.

სად მიდის ამდენი ქვანახშირი, ვისი მარჯვენაა, ასე დაუღალავად რომ ტვირთავს ამ ვეებერთელა ვაგონებს, ასე ლამაზად რომ აწყობს ვაგონების მიმოქცევას?

ჰკითხეთ ეს სადგურ ტყიბულის უფროსს ამხ. გ. მელიას და მისგან მოისმენთ ტყიბულელი რკინიგზელების შესანიშნავი მუშაობის ამბავს.

ტყიბულელმა რკინიგზელებმა გადამწყვეტი მხარი მისცეს მეშახტეებისათვის. მათ მიერ ქვანახშირის ამოღების გეგმის გადაჭარბებით შესრულებას ისინი დატვირთვა-გადმოტვირთვის გეგმების წარმატებით შესრულებით უპასუხებენ.

მეშახტეებმა ქვანახშირის მოპოვების გეგმის გადაჭარბებით შესრულება გასული წლის სექტემბრიდან დაიწყეს. ბუნკერებიდან განუწყვეტლივ ცვიოდა ქვანახშირი გიგანტური ყუთების მსგავს ხოპერებში.

რკინიგზელებმაც მალე გააჩაღეს მუშაობა და უზრუნველჰყვეს ქვანახშირის ტრანსპორტირების გეგმების შესრულება. ამ საქმეში სახელი გაითქვეს და საყოველთაო პატივისცემა მოიპოვეს სადგურის უფროსის თანაშემწემ მ. გვენეტაძემ, შემდგენელმა ი. პატარიძემ, საპატიო პუნქტის ხელმძღვანელმა ნ. ვარდოსანიძემ, მეავტომატე ნ. ცირეკიძემ, მელიანდაგე ი. ჩაკურაძემ, ზეინკალმა ა. შარვაძემ და მრავალმა სხვამ.

მათი დაუღალავი, კრიალოსნული შრომის შედეგია, რომ იანვარში ტყიბულის რკინიგზის სადგურის კოლექტივმა ჩვენს სამრეწველო რაიონებს 5.000 ტონაზე მეტი ქვანახშირი გაუგზავნა გეგმის გადამეტებით. მათივე დამსახურებაა, თებერვლის მარტო პირველი ხუთდღიურის განმავლობაში მრეწველობამ ტყიბულიდან 5.100 ტონა ქვანახშირი რომ მიიღო გეგმის გადამეტებით.

ტყიბულელმა რკინიგზელებმა იანვარში ვაგონების დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის დაწესებული დრო 1 საათით შეამცირეს, ხოლო თებერვლის პირველ დეკადაში — 4 საათით.

რკინიგზელებს დიდად უადვილებს საქმეს ტყიბულქვანახშირის ტრესტის სატრანსპორტო განყოფილების (ხელმძღვანელი ამხ. კისელიოვი) მოქნილი მუშაობა.

დღე და ღამე მოდიან ქვანახშირით დატვირთული ეშელონები ტყიბულიდან; მოდიან და მოაქვთ ქართული მიწის წიაღის დოვლათი საზიზღარი მტრის განადგურების დასაჩქარებლად, ჩვენი მართალი საქმის საბოლოო გამარჯვების მისაახლოებლად.

დ. ლომთაძე

ხემიფოლოსელი მნგრეველი (სტალინის სახელობის შახტი) კომკავშირელი ს. ლომთაძე

მოწინავე ტყიბულელი მეშახტეები

ლენინის ორდენოსანი მთხრელი (ლენინის სახელობის შახტი) ამხ. ა. ქასრაძე

სტალინის სახელობის შახტის მეორე უბნის კომკავშირელი მტვირთავი ამხ. ნ. ობოლაძე

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ტყიბული ჩვენი რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის რაიონებს შორის ყველაზე უხუცესი და უმძლავრესია. ტყიბულელმა მეშახტეებმა, რომლებიც აღფრთოვანებული არიან წითელი არმიის ისტორიული გამარჯვებებით, რასაც იგი დიდი სტალინის ბრძნული მხედართმთავრობით აღწევს, წარმატებით დასძლიეს ომიანობის დროის სიძნელენი და შეუპოვრად განაგრძობენ მუშაობას ქვანახშირის მოპოვების აღმავლობისათვის.

სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე ტყიბულელი მეშახტეების ლოზუნგი იყო:

— ჩვენი საბრძოლო პოზიცია ლავა და სანგრევია, მივცეთ ქვეყანას მეტი ქვანახშირი!

დღედაღამ სწარმოებდა განუწყვეტელი, მაღალნაყოფიერი შრომა. 1944 წელს ტყიბულელმა მეშახტეებმა საგრძნობ წარმატებებს მიაღწიეს. მათ საბჭოთა სამშობლოს 15.500 ტონით მეტი ქვანახშირი მისცეს, ვიდრე 1943 წელს. გასული წლის სექტემბრიდან ტყიბულელებმა შესძლეს რიტმული მუშაობის მიღწევა და ამით ბოლო მოუღეს იმ უთანაბრობას, რასაც ადგილი ჰქონდა პირველ სამ კვარტალში. მაგალითად, 1944 წლის სექტემბერში ქვანახშირის ამოღების გეგმა ტრესტმა 102,5 პროცენტით შეასრულა, ოქტომბერში — 100,6, ნოემბერში — 109,7 და დეკემბერში — 103,9 პროცენტით.

შრომის ნაყოფიერება თითოეულ მეშახტეზე 1944 წელს საშუალოდ 5 პროცენტით გაიზარდა. ამავე დროს კარგი მაჩვენებელია მიღწეული ქვანახშირის ნაცრიანობის შემცირებაში, რაც შარშან საშუალოდ 5,2 პროცენტს შეადგენდა. სწორედ იმის გამო, რომ ქვანახშირის ნაცრიანობის შემცირებას მივაღწიეთ და კარგი ხარისხის ქვანახშირს ვაძლევდით ქვეყანას, დამატებითმა შემოსავალმა რეალიზაციით, ე. ი. ქვანახშირის ფასის დანამატმა 1.300.000 მანეთი შეადგინა.

გასულ წელს კარგად მუშაობდა ტყიბულქვანახშირის ტრესტის სატრანსპორტო განყოფილება. ნოემბერში მან მიიღო საკავშირო ჯილდო — პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოსა და სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა, აგრეთვე პრემია 20.000 მანეთი. ეს მიღწევა ტრესტის სატრანსპორტო განყოფილებამ დეკემბერშიც შეინარჩუნა და ხელმეორედ მიიღო 20.000 მანეთი პრემია.

ამ მიღწევებთან ერთად გასულ წელს ტრესტის მუშაობაში იყო ნაკლიც, რამაც იქამდე მიგვიყვანა, რომ წლის ბოლოს დავალიანებულნი აღმოვჩნდით ქვეყნის წინაშე. ჩვენი შარშანდელი მუშაობის ერთ-ერთი მთავარი ნაკლი ის იყო, რომ წლის ბოლო თვეებამდე ვერ მივაღწიეთ რიტმულ მუშაობას, ვერ უზრუნველვყავით გეგმის შესრულება ყველა უბანზე, ყველა შახტში.

ძალების არასწორი განაწილება რაც გასულ წელს მუშაობაში გვახასიათებდა, სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა წარმოებაში ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზი გახდა. თვითკრიტიკის წესით უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მხრივ მდგომარეობის გამოსწორებას ტრესტის ხელმძღვანელობა მხოლოდ მას შემდეგ შეუდგა, რაც საქმეში ჩაერია საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიონული კომიტეტი, რომელმაც ამ მიმართულებით დიდი დახმარება გაგვიწია. ახლა უკვე მოვახდინეთ ძალთა გადაჯგუფება, შევუდექით რაიკომის მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელებას და კარგ შედეგებსაც მივაღწიეთ.

ქვანახშირის ამოღების მკვეთრად გადიდების ამოცანა, რომელიც ჩვენს წინაშე დგას, მოითხოვს, რომ საბადოთა დამუშავების ტექნიკა დავაყენოთ თანამედროვე მოთხოვნილების სიმაღლეზე, ფენათა დამუშავება ვაწარმოოთ გაუმჯობესებული, კულტურული მეთოდებით. ამისათვის საჭიროა შევისწავლოთ და ზუსტად გამოვარკვიოთ ტყიბულის საბადოთა სამრეწველო განვითარების პერსპექტივა, მწყობრში ჩავაყენოთ ახალი შახტები, დავნერგოთ ისეთი მეთოდებით მუშაობა, რომლებიც ტყიბულის საბადოთა გეოლოგიურ წყობასა და ხასიათს უფრო შეეფერება.

ამჟამად ტყიბულქვანახშირის ტრესტის მუშაობა უმთავრესად სამი უკვე არსებული შახტით განისაზღვრება. აქ ზემო ჰორიზონტები, განსაკუთრებით ლენინისა და სტალინის სახელობის შახტებში, უკვე გამომუშავებულია. ახლა ამ ზემო ჰორიზონტებზე მუშაობა სწარმოებს მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც ქვანახშირი დატოვებული იყო. ღრმად მდებარე ჰორიზონტების ფენებიდან ქვანახშირის ამოღების დაწყება დაკავშირებულია მთელ რიგ ტექნიკურ პრობლემებთან. ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა გამომუშავებულ ფენათა ამოვსების მეთოდის შერჩევა. ტრესტის ხელმძღვანელობამ დაწვრილებით შეისწავლა ეს საკითხები და დაამუშავა საბადოთა განვითარების გეგმა ყველა ძირითადი ტექნიკური პრობლემის გათვალისწინებით. ეს გეგმა წარდგენილია სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატში. სულ მალე უკვე გვექნება იმის დაწვრილებითი პროგრამა, თუ სად და როგორ, ან რა მეთოდებით უნდა გავშალოთ მუშაობა ქვანახშირის ამოღების შეუჩერებელი ზრდის მისაღწევად და რიტმულობის დასამკვიდრებლად.

ქვანახშირზე მოთხოვნილება დღითი დღე იზრდება. ჩვენი მზარდი მრეწველობა, განსაკუთრებით მეტალურგიული, და ტრანსპორტი მომავალშიც მეტ ქვანახშირს მოსთხოვს ტყიბულელებს. მეტალურგია უქვანახშიროდ წარმოუდგენელია. ცნობილია აგრეთვე, რომ ჩვენი რესპუბლიკის მზარდი მეტალურგიული მრეწველობა ქვანახშირით ტყიბულელებმა და ტყვარჩელელებმა უნდა დააკმაყოფილონ. ამიტომ საჭიროა ავითვისოთ სწრაფი ტემპები ახალი შახტების მშენებლობაში, მოვიმარაგოთ ყველა საჭირო ტექნიკური მოწყობილობა და შემოვიღოთ ექსპლოატაციის გაუმჯობესებული მეთოდები.

თუ ამ თვალსაზრისით შევაფასებთ ტყიბულქვანახშირის ტრესტის შარშანდელ მუშაობას, უნდა ვთქვათ, რომ იგი დამაკმაყოფილებელი არ იყო. ტრესტი შარშან მუშათა საბინაო მშენებლობასა და კადრების მოვლა-შენარჩუნებაში ჩამორჩა. მდგომარეობას ის გარემოება ართულებს, რომ 1944 წელს კარგად და გამართულად ვერც ახალი შახტების მშენებლობის სამმართველომ იმუშავა. შახტმშენებლებმა მუშაობა ისე ვერ მოაწესრიგეს, რომ პირველ რიგში ის გაეკეთონ, რასაც ქვანახშირის ამოღების ზრდის ინტერესი მოითხოვს. საკომპრესორო სადგურების ე. ი. საწარმოო მოედნების მოწყობას და მთელ რიგ პირველი მოთხოვნილების სამუშაოთა დამთავრებას შახტმშენებლები აგვიანებენ. ერთ-ერთ ახალ შახტში, რომელიც მათ რამდენიმე თვის წინათ უნდა გადმოეცათ, ჯერაც არ დაუმთავრებიათ მთავარი შტოს არმირება. დაუმთავრებელია სატვირთავი ბუნკერის მშენებლობაც. საჭიროა შახტმშენებლებმა გააძლიერონ ტემპები და გამართული მუშაობით ხელი შეგვიწყონ ქვანახშირის ამოღების მძლავრი აღმავლობის მიღწევაში.

ტყიბულელი მეშახტეების მტკიცე გადაწყვეტილებაა განამტკიცონ იანვარში მოპოვებული მიღწევები, როგორც ამოღების, ისე სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა წარმოების დარგში, მეტი რაოდენობით აძლიონ ქვანახშირი ჩვენი სამშობლოს სოციალისტურ ინდუსტრიას. ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება ტყიბულელ და ტყვარჩელელ მეშახტეებს შორის ხელს შეგვიწყობს ამ ამოცანის გადაჭრაში. შეჯიბრებაში გამარჯვების მისაღწევად ტყიბულელებმა იკისრეს ვადამდე შეასრულონ 1945 წლის ქვანახშირის ამოღების გეგმა, შეამცირონ თვითღირებულება და კიდევ უფრო აამაღლონ ქვანახშირის ხარისხი.

ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ქვანახშირის ამოღების მძლავრი აღმავლობის მისაღწევად — რაციონალურად მოვაწყოთ შრომა, ფართოდ დავნერგოთ სემივოლოსური მეთოდით მუშაობა, გავშალოთ პროფესიების მიხედვით შეჯიბრება, გამოვიყენოთ ტანკმშენებელ ეგორ აგარკოვის გამოცდილება ყველგან, სადაც კი იგი კარგ ეფექტს მოგვცემს, ფართო გასაქანი მივცეთ მოწინავე ადამიანთა ინიციატივას, აღვზარდოთ ახალი კადრები.

ტყიბულელი მეშახტეები, რომლებსაც შეგნებული აქვთ თავიანთი პატრიოტული ვალი სამშობლოს წინაშე, დიდი სტალინის წინაშე, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ყოველდღიური ხელმძღვანელობით ყველაფერს გააკეთებენ ქვანახშირის ამოღების მძლავრი აღმავლობის მისაღწევად.

ალ. ვარდიშვილი

ტყიბულქვანახშირის ტრესტის მმართველი

ᲛᲔᲨᲐᲮᲢᲔᲔᲑᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲨᲔᲐᲥᲕᲗ

5 თებერვალს ტყიბულის შახტებსა და საწარმოებში დაიწყო შრომის ორგანიზაციის საზოგადოებრივი დათვალიერების ერთთვიური. შახტებში, სამუშაო უბნებზე ცვლების მიხედვით გამოყოფილია კომისიები, რომელთაც ევალებათ შეაგროვონ მეშახტეების მიერ შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების თვალსაზრისით შემოტანილი წინადადებები, განიხილონ ისინი და დაუყოვნებლივ შეუდგნენ მათს განხორციელებას. ერთთვიურის დაწყების პირველი დღეებიდანვე სასახტო და საუბნო კომისიები ღებულობენ მუშათა მრავალ წინადადებას. ბევრი ამ წინადადებათაგანი უკვე განხორციელებულია. აი, ზოგი მათგანი:

20.000 ᲢᲝᲜᲐ ᲥᲕᲐᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ. სემივოლოსელმა ბ. თოდიძემ წინადადება შემოიტანა ლენინის სახელობის შახტის მესამე უბნის ქვეშ დაუმუშავებელი ფენიდან ქვანახშირის გამოსაღებად გაეყვანათ კვერშლაგი. წინადადება განახორციელა ამხ. ლ. ვაშაკიძის უბნის კოლექტივმა. დაუმუშავებელი ფენის ნაკვეთი 20.000 ტონა ქვანახშირს შეიცავს.

ᲡᲐᲬᲠᲔᲢᲘ ᲛᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲐ. სტალინის სახელობის შახტის სატვირთავი ბუნკერის ძირში გროვდება წყალი, რომელიც ასველებს ქვანახშირს და აუარესებს მის ხარისხს. წყლის გადასაღვრელად ყოველდღე სცდებოდა საგრძნობი რაოდენობის მუშახელი. ბუნკერის უფროსმა ნ. მემანიშვილმა შემოიტანა წინადადება წყლის საგროვებელ ადგილას მოეწყოს წყლის საწრეტი მილი, რაც თავიდან აგვაცდენს ქვანახშირის ხარისხის გაუარესებას და გაანთავისუფლებს მუშებს სხვა სამუშაოზე გამოსაყენებლად. წინადადება მიღებულია და შეუდგნენ მის განხორციელებას.

ᲣᲑᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ. ინჟინერმა ა. ჩიქოვანმა შემოიტანა წინადადება გაერთიანებულ იქნეს სტალინის სახელობის შახტის კაპიტალურ სამუშაოთა ორი უბანი. ამით სხვა სამუშაოზე გამოსაყენებლად განთავისუფლდება უბნის უფროსი, 4 ცვლის უფროსი და 3 ამფეთქებელი. წინადადება მიღებულია. უბნების გაერთიანება დაიწყეს.

ᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲐᲓᲕᲘᲚᲔᲑᲐ. ბუნკერზე, საიდანაც ქვანახშირი იტვირთება რკინიგზის ვაგონებზე, დადგმულია 3 გორგოლაჭი, რის გამოც ქვანახშირის ვაგონებში გადატვირთვისას ბუნკერზე საჭიროა სამი კაცი. ამხ. მიმანოშვილმა შემოიტანა წინადადება სამის ნაცვლად ერთი გორგოლაჭის გამართვის შესახებ. ამით ქვანახშირის დატვირთვა გაადვილდება და 3 კაცის მაგიერ საჭირო იქნება 1 კაცი.

ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲬᲧᲕᲘᲚᲘ ᲚᲘᲐᲜᲓᲐᲒᲘ. მეშახტე ვ. ღვინეფაძემ წინადადება შემოიტანა სტალინის სახელობის შახტის მთავარი პორტალიდან ბრმა გვირაბამდე გაყვანილ იქნას წყვილი სარკინიგზო ლიანდაგი. რაც ერთიორად დააჩქარებს ვაგონების მიმოქცევას და გაზრდის ქვანახშირის გამოზიდვის მაჩვენებლებს. წინადადება მიღებულია.

ᲨᲐᲮᲢᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲠᲝᲚᲘ

ქვანახშირის მოპოვების მძლავრი აღმავლობისათვის ბრძოლა შახტის პარტიული ორგანიზაციის პირველი რიგის ამოცანაა. ამ ამოცანის შესასრულებლად პარტიული ორგანიზაცია მოვალეა სწორად განაწილოს ძალები, კომუნისტები დააყენოს გადამწყვეტ უბნებზე. ჩვენ ასეც ვიქცევით. კომუნისტები მუშაობენ სანგრევებსა და ლავებში, სადაც წყდება ქვანახშირის მოპოვების ბედი. პარტიის წევრების მიზანშეწონილად განაწილებამ მალე მოგვცა კარგი შედეგი. კომუნისტები თავიანთ უბნებში მოწინავენი არიან და პირადი მაგალითით წინ უძღვებიან მეშახტეებს მასების შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის ბრძოლაში.

ჩვენმა შახტამ ქვანახშირის ამოღების გეგმა შარშან გადაჭარბებით შეასრულა. წარმატებით დავიწყეთ აგრეთვე მიმდინარე სამეურნეო წელი. ქვანახშირის ამოღების იანვრის გეგმა 113,8 პროცენტით შევასრულეთ, ხოლო სამთო-მოსამზადებელი სამუშაოების გეგმა — 100,2 პროცენტით.

საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის მასების დარაზმვისა და მაღალნაყოფიერი სტახანოვური შრომის გაჩაღებაში შახტის პარტიულმა ორგანიზაციამ საგრძნობი გამოცდილება დააგროვა. მინდა ამ გამოცდილებიდან ზოგ რამეზე შევჩერდე.

შარშან, განსაკუთრებით 1944 წლის პირველ თვეებში, შახტში შრომის დისციპლინა შესამჩნევად მოისუსტებდა. მეშახტეების ერთი ნაწილი სამუშაოზე გამოსვლას აგვიანებდა, ხოლო სამუშაოდან ნაადრევად ბრუნდებოდა. ხშირი იყო აგრეთვე სამუშაოს უმიზეზოდ გაცდენა. [illegible]

[illegible]

ი. ისხილიანი

ლენინის შახტის პარტბიუროს მდივანი.

ᲕᲘᲜ ᲐᲯᲝᲑᲔᲑᲡ

ტყიბულელ და ტყვარჩელელ მეშახტეებს შორის გრძელდება ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება ქვანახშირის ამოღების ზრდის უკეთესი მაჩვენებლების მისაღწევად.

[illegible]

ტყიბულქვანახშირის ტრესტის სიამაყე გახდა ლენინის სახელობის შახტი. [illegible] 118,8 პროცენტით შეასრულა [illegible] 122,9 პროცენტით.

[illegible] 42 პროცენტით გადიდდა ქვანახშირის ამოღება [illegible] 2,589 ტონა ქვანახშირი მისცა ქვეყანას.

[illegible] 4,570 ტონა ქვანახშირი [illegible] 138,7 პროცენტით შეასრულა. [illegible]

დ. ქათამაძე

ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲝᲠᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲗᲐᲠᲘᲦᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ტყიბული («კომუნისტის» საკუთარი კორესპონდენტისაგან). [illegible] XXVII წლისთავისა და საქართველოს [illegible] XXIV წლისთავისათვის. [illegible]

[illegible] 105,8 [illegible] 111,3 [illegible] 102,4 [illegible]

ალმოსავლეთ პრუსიის ისტორიული ბედი

სალუტები ზედიზედ აუწყებენ მთელ მსოფლიოს სასიხარულო ამბავს, რომ წითელი არმია ძლევამოსილად მიიწევს წინ მტრის ტერიტორიაზე, იკავებს აღმოსავლეთ პრუსიის ახალ-ახალ დასახლებულ პუნქტებს და ურტყამს ფაშისტ მხეცს მის ბუნაგში. ომი გადატანილია გერმანიის ტერიტორიაზე. მაგრამ შეიძლება კი აღმოსავლეთ პრუსიას გერმანიის მიწა-წყალი ვუწოდოთ? არა, აღმოსავლეთი პრუსია — „რეაქციული პრუსიელობის" ეს ბუდე, გერმანული მხეცური შოვინიზმის ეს ფორპოსტი — გერმანიის მიწა-წყალი არ არის. ის სახელიც კი, რომელიც მისგან მიიღო გერმანიის ყველაზე აგრესიულმა, ყველაზე მტაცებელმა სახელმწიფომ, — გერმანული არ არის. მან ეს სახელი მიიღო ლიტველ პრუსთა ტომისაგან, რომელიც ოდითგანვე ცხოვრობდა სამხრეთ ბალტიისპირეთში, ქვემო ვისლასა და პრეგელს შუა. ეს მიწა-წყალი (როგორც, სხვათა შორის, მთელი ეგრეთწოდებული გერმანიაც ელბის აღმოსავლეთით) მის კანონიერ მფლობელთ მიიტაცეს, ძალადობისა და გამცემლობის გზით წაართვეს.

გერმანელები აღმოსავლეთ პრუსიაში მხოლოდ XIII საუკუნეში გამოჩნდნენ. მათი იქ გამოჩენა მაშინდელი პოლონეთის მმართველთა წინდაუხედავი პოლიტიკის შედეგი იყო. მთავარმა კონრად მაზოვეცკიმ მოიწვია ტევტონთა ორდენის გერმანელი რაინდები პრუსთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს იყო პოლონეთისათვის საბედისწერო აზრი — დახმარების თხოვნა გერმანელებისათვის! ფრანგ ისტორიკოს ლავისის სიტყვით, „იმ დღემ, როცა კონრად მაზოვეცკიმ, აღიარა რა თავისი უძლურება, ტევტონი რაინდები მოიწვია პრუსიის წინააღმდეგ, მოამზადა პოლონეთის დაცემა".

ტევტონთა ორდენი აღმოცენდა XII საუკუნეში პალესტინაში. თავდაპირველად ეს საქველმოქმედო დაწესებულება იყო „წმიდა ქვეყანაში" ჩასულ გერმანელთა დასახმარებლად. მაგრამ მალე ორდენი გადაიქცა გერმანელ რაინდთა მძლავრ ორგანიზაციად, რომელიც ენერგიულ მონაწილეობას იღებდა „ურჯულო" მუსლიმანთა წინააღმდეგ ომებში და „წმიდა ქვეყნის" ძარცვაში. დასავლეთელ რაინდებს უპირდაპირდათ აღმოსავლეთში. მუსლიმანები გაერთიანდნენ ეგვიპტის სასულთნოს გარშემო და ორგანიზებული წინააღმდეგობა გაუწიეს უცხოელ დამპყრობლებს. ჯვაროსნები ზედიზედ ჰკარგავდნენ სამფლობელოებს. გერმანელმა რაინდებმა გაითვალისწინეს, რომ მათთვის უფრო ხელსაყრელი იყო დროულად აბარგებულიყვნენ „წმიდა ქვეყნიდან" და სხვა ადგილას მიეყოთ ხელი ძარცვა-გლეჯისათვის.

ორდენის მეთაური, „დიდი მაგისტრი" მაშინ იყო გერმან ფონ-ზალცა, თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე გაქნილი და გაიძვერა დიპლომატი. მან ხალისით მიიღო მიწვევა კონრად მაზოვეცკისა, რომელმაც ორდენს შესთავაზა პოლონეთისა და პრუსიის სამფლობელოებს შუა მდებარე კულმის ოლქი, იმ პირობით, რომ პოლონეთს პრუსებისაგან დაიცავდა. მაგრამ გერმან ფონ-ზალცას სხვა გეგმები და ვარაუდი ჰქონდა. მას უნდოდა მიეღო არა მარტო კულმის ოლქი, არამედ პრუსთა მთელი მიწა-წყალიც. ამისათვის მან მიმართა მაშინდელი ევროპის ორ უმძლავრეს მფლობელს — იმპერატორ ფრიდრიხ II-ს და პაპ გრიგოლ IX-ს. არც ერთ მათგანს ოდნავი უფლებაც არ ჰქონდა პრუსიაზე. მიუხედავად ამისა, გერმანმა მთელი პრუსიის მფლობელობის სიგელი მიიღო ჯერ იმპერატორისაგან, შემდეგ კი, თავის დაზღვევად, იმპერატორის მოსისხლე მტრის — პაპისაგან...

...ლი განადგურება გრიუნვალდსა და ტანენბერგს შუა. გამარჯვება მოპოვებულ იქნა უმთავრესად ლიტვის დიდ მთავარ ვიტოვტის ოსტატური სტრატეგიისა და სმოლენსკის პოლკების სიმტკიცის მეოხებით.

წითელი არმიის მიერ ტანენბერგის აღება კვლავ მოგვაგონა სლავთა და ლიტველთა ეს სახელოვანი გამარჯვება თავიანთ ძველთაძველ მტერზე.

მაშინ შექმნილმა საერთაშორისო ვითარებამ საშუალება მისცა ტევტონთა ორდენს შედარებით იოლად გადარჩენილიყო და შეენარჩუნებინა თავისი სამფლობელოები. მაგრამ შინაგანი წინააღმდეგობანი კვლავ სჯიჯგნიდნენ ორდენს. ორდენის ქალაქები აჯანყებებს აწყობდნენ და დახმარებისათვის პოლონეთს მიმართავდნენ. პოლონეთის წინააღმდეგ ახალმა ომმა პოლიტიკური დამოუკიდებლობა დააკარგვინა ორდენს. 1466 წლის ტორნის ზავის თანახმად პოლონეთმა დაიბრუნა მთელი დასავლეთი მიწა-წყალი, რაც მას წინათ ორდენმა წაართვა, მათ შორის გდანსკი, და გარდა ამისა კულმის ოლქი და ორდენის დედაქალაქი მარიენბურგი. საზღვრებშევიწროებულმა ორდენმა აღიარა პოლონეთისაგან ვასალური დამოკიდებულება. ორდენის დიდმა მაგისტრმა ვალდებულება იკისრა, რომ პოლონეთის მეფისათვის მიეცა ფიცი. მან დაკარგა უფლება დამოუკიდებლად გამოეცხადებინა ომი და შეეკრა ზავი. პოლონეთისა და ლიტვის სამფლობელოებით გარშემორტყმული აღმოსავლეთი პრუსია ახლა პოლონეთის ვასალური სამფლობელო გახდა. ხელშეკრულებით დადგენილი იყო, რომ ორდენის ტერიტორია სამუდამოდ უერთდებოდა პოლონეთის სამეფოს და მასთან ერთ სხეულს ჰქმნიდა. დიდმა მაგისტრმა ტორნის რატუშაში ერთგულება შეჰფიცა პოლონეთის მეფეს.

1511 წელს ორდენის დიდ მაგისტრად არჩეულ იქნა ალბრეხტ ჰოჰენცოლერნი. ამ გაქნილმა პოლიტიკოსმა ყალთაბანდური ოპერაციისათვის გამოიყენა რეფორმაცია: მან ორდენი გააუქმა და მისი მიწა-წყალი თავის სამკვიდრო სამფლობელოდ — „პრუსიის საჰერცოგოდ" გადააქცია. მაგრამ ამან ვერ გაათავისუფლა იგი პოლონეთზე დამოკიდებულებისაგან. მას ახალი წოდება დაუმტკიცა პოლონეთის მეფემ, რომელიც ამის შემდეგაც თავისუფლად ერეოდა საჰერცოგოს საქმეებში და ჰერცოგის დაუკითხავად იწვევდა იქ სეიმებს.

მაგრამ ისტორიულმა შემთხვევითობამ სხვა ბედი განუმზადა პრუსიას. 1618 წელს მტაცებლური რაინდული სახელმწიფოს ეს ნანასხვრევი მთელი რიგი უხამსი კომბინაციების გზით ხელში ჩაიგდო ჰოჰენცოლერნთა გვარეულობის სხვა შტომ, იგი ბრჭყალებში ჩაუვარდა ბრანდენბურგის კურფიურსტებს, რომლებიც თავიანთ სამკვიდრო სამფლობელოებს აწყობდნენ მოსყიდვის, აშკარა შეყიდვის, წვრილმანი ქურდობისა და სხვა გზით. მაგრამ ბრანდენბურგთან თავისი შეერთების შემდეგაც აღმოსავლეთი პრუსია პოლონეთის ვასალურ სამფლობელოდ რჩებოდა, და ბრანდენბურგს მიწყვეტილი იყო პოლონეთის მიწა-წყლით, ხოლო კურფიურსტს ვასალური ფიცი უნდა მიეცა პოლონეთის მეფისათვის.

ჰოჰენცოლერნთა სახელმწიფოს ზრდის ბინძური ისტორია გენიალურად აქვთ დახატული მარქსსა და ენგელსს სტატიებში „ჰოჰენცოლერნთა ღვთაებრივი უფლება" და „ჰოჰენცოლერნთა საგმირო საქმეები". ეს სტატიები წარმოადგენენ მგზნებარე საბრალდებო აქტს ამ დინასტიის სისაზიზღრის, ვერაგობისა და სხვა დანაშაულობათა წინააღმდეგ.

[illegible]

დეპეშები

პროფკავშირთა მსოფლიო კონფერენციაზე

ლონდონი, 10 თებერვალი. (საკდესი). პროფკავშირთა მსოფლიო კონფერენციის სხდომა გუშინ დაიწყო დღის წესრიგის მეორე საკითხის — მშვიდობიანობის მოწყობისადმი პროფკავშირთა დამოკიდებულების საკითხის განხილვით. მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა ბრიტანეთის ტრედ-უნიონების კონგრესის გენერალურმა მდივანმა სიტრინმა. იგი შეეხო გერმანიისადმი მომავალი დამოკიდებულების საკითხს და სთქვა, რომ უსიტყვო კაპიტულაცია უფრო მეტ რამეს ნიშნავს, ვიდრე გერმანიის საბრძოლო ძალების ლიკვიდაციას, და დასძინა: „გერმანიის ოკუპაცია გამოხატულ იქნება არა მარტო მოკავშირეთა სამხედრო კონტროლით, არამედ აგრეთვე გერმანიის პოლიტიკური მმართველობით. მნიშვნელოვანი პერიოდის განმავლობაში ფაქტიური მთავრობა მოკავშირეთა საოკუპაციო ხელისუფალნი იქნებიან. ამიტომ საჭიროდ გვეჩვენება, რომ პროფკავშირები მონაწილეობდნენ ოკუპაციით დაკავებული გერმანიის სამხედრო და სამოქალაქო ადმინისტრაციაში სათათბირო ხმის უფლებით, ვინაიდან ოკუპაციის დროს განხორციელებულ იქნება მშვიდობიანობის მოკლევადიანი პროგრამა".

სიტრინმა აზრი გამოსთქვა იმ წინადადებათა წინააღმდეგ, რომ გერმანიას ჩამოერთვას ზემო სილეზია, საარის ოლქი და სხვა სამრეწველო რაიონები და გერმანიის დანარჩენი ნაწილი სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფოდ გადაიქცეს.

კამათი სიტრინის მოხსენების გამო გაიხსნა საბჭოთა დელეგატ ი. ა. ბელიაევის სიტყვით. ბელიაევის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა პროფკავშირთა სრულიად-ინდოეთის კონგრესის წარმომადგენელმა დანგემ, რომელმაც აღნიშნა, რომ სიტრინი მართალი იყო გერმანიისადმი მოპყრობის საკითხში, მაგრამ მან ძალიან მცირე ყურადღება დაუთმო პროფკავშირთა საშინაო ამოცანებს. მშვიდობიანობის მოწყობის პრობლემები არ შემოიფარგლებიან მხოლოდ საზღვრების, რეპარაციებისა და სხვა პრობლემებით. ესენი შეიცავენ აგრეთვე მთელს მსოფლიოში დემოკრატიული და სოციალური პროგრესის პრობლემებს.

ამის შემდეგ გამოვიდა საბჭოთა დელეგაციის წევრი ამხ. მ. პ. ტარასოვი. „სიტრინის მოხსენებაში,—სთქვა მან,—მომავალი სამშვიდობო შეთანხმებისადმი პროფკავშირთა პოზიციის შესახებ დაწერილებით და კარგად არის ჩამოყალიბებული ამოცანები, რომლებიც ჩვენმა კონფერენციამ უნდა განიხილოს და მიიღოს. მე მსურს ამ ტრიბუნიდან გამოვთქვა საბჭოთა დელეგაციის სურვილები ამ საკითხში. გაერთიანებული ერების მუშათა კლასი, რომელმაც თავის მხრებზე გადაიტანა ომის ძირითადი სიმძიმე, არ შეიძლება დაკმაყოფილდეს გერმანიის მარტო განადგურებით და ახლანდელი ომის ლიკვიდაციით. მუშათა კლასი სასიცოცხლოდ არის დაინტერესებული ფაშიზმის სრული მოსპობით, რა სახითაც უნდა მჟღავნდებოდეს იგი, მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობიანობის დამყარებით და საყოველთაო უშიშროების შექმნით, რომელიც დაიცავს კაცობრიობას ახალი აგრესიისაგან, უზრუნველყოფს ჰორიზონტებს მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ფართო და მეგობრული თანამშრომლობისათვის და მოგვცემს შესაძლებლობას სავსებით დავაკმაყოფილოთ მშრომელთა მატერიალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებანი.

მშვიდობიანობისათვის შექმნილი საფრთხის წინააღმდეგ ქმედითი ღონისძიებების განსაზღვრისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ყოველივე, რაც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა. ჩვენ უფლება არა გვაქვს დავივიწყოთ, რომ მხოლოდ კეთილი სურვილებით და მუდარით არ შეიძლება აგრესიის არც თავიდან აცილება, არც მოსპობა და არც ჩახშობა. ყოველგვარი „პოლიტიკა დამშვიდებისა" განხილულ უნდა იქნას როგორც მშვიდობიანობის საქმისადმი მტრული აქტი, რომელსაც შეუძლია მხოლოდ ავნოს მშვიდობისმოყვარე ხალხებს, მიაძინოს მათი სიფხიზლე აგრესიის წინაშე, როგორც ეს იყო ახლანდელი ომის წინა წლებში".

საბჭოთა დელეგაციის მინდობილობით ამხ. ტარასოვმა შეიტანა წინადადება მშვიდობიანობის მოწყობისადმი პროფკავშირთა დამოკიდებულების საკითხზე.

ამხ. ტარასოვის გამოსვლის შემდეგ საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელმა ტორნტონმა წაიკითხა ამ კომიტეტის განცხადება: „საორგანიზაციო კომიტეტმა,—ნათქვამია განცხადებაში,—კვლავ განიხილა საკითხი ამ კონფერენციაზე პოლონეთის წარმომადგენლობის შესახებ. საორგანიზაციო კომიტეტი შეუძლებლად სთვლის მიაღწიოს ამ საკითხის სავსებით დამაკმაყოფილებელ გადაწყვეტას, რომელიც მიღებულ უნდა იქნას კონფერენციის სრული თანხმობით". ასეთი გამოუვალი მდგომარეობა,—აღნიშნულია განცხადებაში,—შეიქმნა იმის გამო, რომ ერთ-ერთი უმთავრესი დელეგაცია არ აპირებს დაეთანხმოს მოწვეული ორგანიზაციების სიის შემდგომ გაფართოებას. საორგანიზაციო კომიტეტმა, რომელიც „არ გამოსთქვამს არავითარ აზრს ზემოაღნიშნული დელეგაციის პოზიციის შესახებ ან არსებითად პოლონეთიდან დელეგატების მოწვევის საკითხზე", წინადადება შეიტანა „არავითარი შემდგომი ნაბიჯი არ გადაიდგას დამატებითი მოწვევების საკითხში, გარდა იმ მოწვევებისა, რომლებიც უკვე მიღებული იყო კონფერენციის მიერ".

ყველა დელეგაციამ მიიღო ეს რეკომენდაცია.

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 10 თებერვალი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ მოკავშირეთა ჯარებმა, რომლებიც უტევენ ჰოლანდიის ქალაქ ნიიმეგენის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში, რაინის ოლქში დაიკავეს ციფლიხი, ნილი, კრანენბერგი, ფრასელტი და ბრძოლებს ეწევიან რაიხსვალდის ტყის დასავლეთ ნაპირზე.

მონშაუს (გერმანია) ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში მოკავშირეთა ჯარებმა გასწმინდეს ქალაქები გარშაიდტი და შმიდტი და წინ წაიწიეს ჰაზენფელდისაკენ (ორ მილზე შმიდტის სამხრეთ-აღმოსავლეთით). რამდენადმე სამხრეთით, პრიუმის ჩრდილოეთით მდებარე რაიონში, მოკავშირეთა ქვეითმა ჯარმა დაიკავა ოლცჰაიმი და ნოიენდორფში შევიდა. მოკავშირეთა სხვა ნაწილებმა დაიკავეს ქალაქი ჰონდენბრეტი. ბანჰოლცის ტყე (ნახევარ მილზე ზინცის ჩრდილო-აღმოსავლეთით) გაწმენდილია მოწინააღმდეგისაგან. ამ რაიონში მოგერიებულია მტრის ტანკებისა და ქვეითი ჯარის კონტრიერიში.

ჰაგენაუს (ლოტარინგია) აღმოსავლეთით რაინის ხეობაში გაწმენდილია ობერჰოფენი.

სამხრეთ ელზასში შესწყდა მტრის ყოველგვარი ორგანიზებული წინააღმდეგობა რაინის დასავლეთ ნაპირზე.

მოკავშირეთა ჯარებმა დასავლეთის ფრონტზე დღის განმავლობაში ტყვედ წამოიყვანეს 1.049 კაცი.

ბომბდამშენთა დიდი შენაერთები განაგრძობდნენ თავდასხმას მტრის სხვადასხვა სამხედრო ობიექტზე დასავლეთ და ცენტრალურ გერმანიაში. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია მტრის 23 თვითმფრინავი და მიწაზე მოსპობილია 41 თვითმფრინავი. თავიანთ ბაზებში არ დაბრუნებულა მოკავშირეთა 24 თვითმფრინავი.

მდგომარეობა ბერლინში

სტოკჰოლმი, 10 თებერვალი. (საკდესი). ბერლინიდან აქ მოსული ცნობებით, გერმანიის დედაქალაქის ყველა საწარმომ, გარდა განსაკუთრებით საჭირო საწარმოებისა, მუშაობა შესწყვიტა. ყველა მუშა და მოსამსახურე მობილიზებულია ფოლკსშტურმში. სასურსათო მდგომარეობა ქალაქში კატასტროფულია. სურსათი არ შეაქვთ.

მექსიკური გაზეთი მოითხოვს უმანსკის დაღუპვის მიზეზის სასწრაფო გამოძიებას

მექსიკო, 4 თებერვალი. (საკდესი). გაზეთმა „ლა ვოს დე მექსიკომ" გამოაქვეყნა რესპუბლიკის პრეზიდენტისადმი მიმართული ღია წერილი სათაურით „ექსპერტთა მისაა საკმარისი არ არის 25 იანვარს მომხდარი ტრაგედიის ახსნისათვის".

წერილში ნათქვამია: „მექსიკელი ხალხი გამსჭვალულია ეჭვით ამ კატასტროფის შესახებ. ითვალისწინებენ რა ამ კატასტროფის გარემოებებს და კამპანიას ელჩ უმანსკის მოღვაწეობისა და იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელსაც იგი წარმოადგენდა, კამპანიას, რასაც პრესის გარკვეული ორგანოები ეწეოდნენ, ხშირად გამოსთქვამენ აზრს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს საბოტაჟის ოსტატურად მოწყობილ აქტთან".

სარედაქციო სტატიაში იგივე გაზეთი სწერს: „არ შეიძლება სადავოდ გავხადოთ, რომ მექსიკელი ხალხი გამსჭვალულია ეჭვით ამ ტრაგედიის მიზეზების შესახებ და უარს ამბობს დაეთანხმოს მისი, როგორც „უბედური შემთხვევის", განსაზღვრას, აგრეთვე განმარტებას, თითქოს ეს სამწუხარო ამბავი „ბედი" იყოს და სხვა არაფერი. „ჩვენ ვამტკიცებთ,—ნათქვამია სტატიაში,—რომ არსებობს კატასტროფის კონკრეტული მატერიალური და ობიექტური მიზეზები და რომ ეს მიზეზები მთლიანად უნდა იქნას გამოძიებული და განემარტოს მექსიკელ ხალხს, აგრეთვე მოკავშირე ქვეყნებს, რათა ამასთან დაკავშირებით ოდნავი ეჭვიც არ დარჩეს. პოლიტიკურ ამბებში არ შეიძლება „ბედზე" მითითება".

ცნობილი ჰიტლერელები შვეიცარიაში გარბიან

ლონდონი, 10 თებერვალი. (საკდესი). როგორც „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის" ბერნელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, გერმანიიდან მიღებული ცნობებით, იმ გერმანელთა შორის, რომელთაც მაღალი პოსტები უკავიათ, აღინიშნება სულ უფრო მეტი მისწრაფება გაიქცნენ შვეიცარიაში. ხმების მიხედვით, 6 და 7 თებერვალს გესტაპოელებმა დააპატიმრეს სულ მცირე 60 კაცი, რომლებიც ცდილობდნენ შვეიცარიაში გაქცეულიყვნენ. დაპატიმრებულთა შორის არიან ჰიტლერული კინოფირმის „უფას" ყოფილი დირექტორი დოქტორი გუგენბერგი, რომელიც უკანასკნელ დრომდე ხელმძღვანელობდა გერმანიის კინომრეწველობას, და სიმენს-ხბერპარდტის ფირმის ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

მდგომარეობა საბერძნეთში

ლონდონი, 10 თებერვალი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ საბერძნეთის მთავრობასა და ეამის დელეგატებს შორის მიღწეულია შეთანხმება ყველა დარჩენილ საკითხზე. მთავრობის დელეგატები, რომლებიც ათენს დაბრუნდნენ, დღეს შეხვდებიან პრემიერ-მინისტრ პლასტირასს და საბერძნეთის მთავრობის სხვა წევრებს. მოელიან, რომ შეთანხმებას ორივე დელეგაცია ხელს მოაწერს კონფერენციის განახლების შემდეგ დღეს საღამოს.

ცხოვრების აღორძინება პოლონეთის განთავისუფლებულ რაიონებში

ვარშავა, 9 თებერვალი. (საკდესი). საქალაქო რადა ნაროდოვები პროფკავშირებისა და საზოგადოებრიობის დახმარებით ენერგიულად მუშაობენ პოლონეთის განთავისუფლებულ ტერიტორიაზე გერმანელ ოკუპანტთაგან დანგრეული საქალაქო მეურნეობისა და მრეწველობის აღდგენისათვის. ქალაქთა უმეტესობაში უკვე მუშაობენ ელექტროსადგურები და წყალსადენები. ქალაქ კოლოში მუშაობს სასაკლაო, ამუშავებულია ორთქლის წისქვილი და შაქრის ქარხანა. პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში ჩამოვიდნენ პირველი მატარებლები. ქალაქ გნეზნოში მუშაობენ გაზის ქარხანა, ელექტროსადგური და წყალსადენი. გაჩაღებულია მუშაობა შაქრისა და ტყავეულობის მრეწველობის აღსადგენად. ყველა ქალაქში მალე ახლდება სასკოლო ქსელი.

მოქმედი არმია. აღმოსავლეთ პრუსიაში. წითელი არმიის ნაწილები გერმანულ ქალაქ ტილზიტის ქუჩებში. ფოტო ლ. დორენსკისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ახალი საესტრადო რეპერტუარი

მწერლებმა ს. ფაშალიშვილმა, კ. გოგიაშვილმა, მ. ხერხეულიძემ დასწერეს ახალი საესტრადო ნომრები და ამით ნაწილობრივ შეავსეს ის ხარვეზი, რაც დღემდე იგრძნობოდა ქართული ესტრადის რეპერტუარში.

კარგად არის დაწერილი ს. ფაშალიშვილის იუმორესკები „დისკუსია მატარებელში", „ჩვენებური სტუმრობა" და „წარჩინებულთა გაბაასება".

საესტრადო რეპერტუარის ძირითად მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ კ. გოგიაშვილის „მკვეხარა ცრუპენტელები", „ბაქია ბუშტაძე" და „ქართული ენის ეპიზოდები", აგრეთვე მ. ხერხეულიძის „ზოგიერთ ქალებს".

ეს ნაწარმოებნი დიდი წარმატებით იქნა შესრულებული ამ დღეებში ესტრადის მსახიობთა პირველი საკავშირო კონკურსის ლაურეატის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ოლღა დოლიძის მიერ. მსახიობმა მისთვის ჩვეული ოსტატობით შეასრულა აგრეთვე ი. ნაბატოვის, პისეცკისა და ზისკინდის ახალი საესტრადო ნომრები.

25 ათასი მანეთის მოგება

ქალ. თბილისის შემნახველ სალაროებში ყოველდღე მოაქვთ ათობით ობლიგაციები, რომლებსაც დიდი მოგებები ხვდა მეორე სახელმწიფო სამხედრო სესხის მესამე ტირაჟში.

3 თებერვალს ბერიას რაიონის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარმოადგინეს ობლიგაცია № 19, სერია 34373 რომელსაც ხვდა 10 ათასი მანეთი მოგება. 5 თებერვალს იმავე სალაროში წარმოადგინეს ობლიგაცია № 33, სერია, 30718, რომელმაც 25 ათასი მანეთი მოიგო. 29 იანვარს მოქალაქე ანა გასპაროვამ წარმოადგინა ობლიგაცია № 27, სერია 29365, რომელსაც ხვდა 5 ათასი მანეთი მოგება. (საქდესი).

პრემიერა ჭიათურის თეატრში

ჭიათურის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა ვ. კანდელაკის კომედია „ლევანიხუს ხმალი". მთავარი როლები შეასრულეს მსახიობებმა მ. ვამაძემ, გ. ტყაბლაძემ, ბ. დურმიშიძემ, გ. ნუცუბიძემ, ბ. რომანიშვილმა, თ. ლოლაძემ.

პიესა დადგა რეჟისორმა ს. ცომაიამ. მხატვრული გაფორმება ეკუთვნის მ. აბაკელიას.

მწერალთა კავშირში

ხუთშაბათს, 15 თებერვალს, მწერალთა კავშირში შესდგება რაჟდენ გვეტაძის ახალი წიგნის „მართალი ნოველების" საჯარო განხილვა.

მომხსენებელი — გიორგი ჯიბლაძე.

კამათში მონაწილეობას მიიღებენ: ლ. ასათიანი, ე. ასტვაცატუროვი, დ. ბენაშვილი, ა. ვაჭრელიძე, ს. თავაძე, ი. ლისაშვილი, ა. ლომიძე, გ. ნატროშვილი, ბ. ჟღენტი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი, ს. ჩიქოვანი, ი. წულუკიძე.

დასაწყისი 7½ საათზე. შესვლა თავისუფალია.

მოხსენება

13 თებერვალს, დღის 12 საათზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ფილოსოფიის სექციის ღია სხდომაზე აკადემიკოსი შ. ნუცუბიძე გააკეთებს მოხსენებას თემაზე: „ბერძნული ფილოსოფიის აღმოსავლური ძირები".

ლექცია

13 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება ამხ. გვრიტიშვილის ლექცია ქართულ ენაზე. თემა: „ქართველი ხალხის შვილები საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში".

სემინარი

12 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტთა სემინარის მორიგი მეცადინეობა. სემინარს ჩაატარებენ ამხ. გორგილაძე (ქართულ ენაზე) და ამხ. გეგეშიძე (რუსულ ენაზე).

ისაკი ხინველის ხსოვნას

გარდაიცვალა ნიჭიერი იუმორისტი ისაკი ივანეს-ძე ხინველი.

ისაკი ხინველი საზოგადოებრივ მუშაობაში მაშინ ჩაება, როცა ახლად ეყრებოდა საფუძველი საბჭოთა სატირულ-იუმორისტული პერიოდული ორგანოს გამოცემას. ჟურნალ „ტარტაროზში" შემოქმედებით თანამშრომლობასთან ერთად, იგი აქტიურ პრაქტიკულ მუშაობასაც ეწეოდა და 15 წლის მანძილზე ეცვლელად ასრულებდა რედაქციის მდივნის თანამდებობას.

ი. ხინველის კალამს ეკუთვნის სხარტად და მხატვრული ზომიერებით დაწერილი მრავალი სატირიკული მოთხრობა, სკეტჩი და ფელეტონი, რომლებიც იბეჭდებოდა ისელის, ზმუკის და სხვა ფსევდონიმებით (საკმაო პოპულარობით სარგებლობდა მის მიერ შექმნილი ლიტერატურული ტიპის „ლევარსი როხროხაძის" სათავგადასავლო მოთხრობების სერია და სხვ.).

ი. ხინველი ამხელდა და ამათრახებდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მახინჯ მოვლენებსა და სოციალისტური მშენებლობისადმი მტრულად განწყობილ ელემენტებს.

სამწუხაროდ, ამ ნიჭიერ მუშაკს არ დასცალდა უფრო ფართოდ გაეშალა თავისი შემოქმედებითი მუშაობა. მძიმე სნეულებამ იგი მოსწყვიტა საყვარელ სამუშაოს და ჯერ კიდევ ახალგაზრდა გამოასალმა სიცოცხლეს.

მისი ხსოვნა მუდამ დაუვიწყარი იქნება მეგობართა შორის.

ამხანაგების ჯგუფი

თეატრებში

სახელმწიფო ოპერა — 11/II — „ევგენი ონეგინი", 12/II — „გედის ტბა" (პრემიერა). რუსთაველის სახელობის — 11/II — „ზოგჯერ ბრძენიც შესცდება". მარჯანიშვილის სახელობის — 11/II — „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი". გრიბოედოვის სახელობის— 11/II — „ფლოტის ოფიცერი". ახუნდოვის სახელობის—11/II „ვერაგობა და სიყვარული". სომხური—11/II—„ვარაზდატ". მუსიკალური კომედიის — „სილვა". სანკულტურის — „უნიადაგონი". მოზარდ მაყურებელთა ქართული—11/II—„შემოსავლიანი ადგილი". რუსული — „კუზიანი კვიცი".

კინოებში

11 თებერვალს: რუსთაველის სახელობის — „ოთხთა გული". ოქტომბერი—„გრიგალი". დამკვრელი — „მუსიკალური ისტორია". კომკავშირელი—„მივდებული ბავშვი". სპარტაკი — „გაერომში". ლუქსემბურგის სახელობის — „სამი მუშკეტერი". 26 კომისრის სახელობის — „ქალიშვილს პაემანზე მიეჩქარება".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

მალე კინოთეატრ „რუსთაველში"
ახალი მხატვრული ისტორიული ფილმი
„ივანე მრისხანე"
(პირველი სერია)
სცენარის ავტორი და დამდგმელი სტალინური პრემიის ლაურეატი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე სერგეი ეიზენშტეინი. ივანე მრისხანის როლში — სტალინური პრემიის ლაურეატი, რსფსრ სახალხო არტისტი ნიკოლოზ ჩერკასოვი.
ალმა-ატის კინოსტუდიის ნაწარმოები.
„გლავკინოპროკატის" საქართველოს კანტორის გამოშვება.

მოქალაქე ვიქტორ ივანეს-ძე კუროჩკინმა, მცხოვრებმა გოგებაშვილის მე-3 შესახვევი № 27, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე ზოია დანიელის-ასულ სტასენკოსთან განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოში.

ოლღა მაჭავარიანი, ქსენია ხომერიკი, კატო ქვარიანი, მიშა, საშა, გრიშა, თალიკო და ნატაშა ქუთათელაძეები ოჯახებით იუწყებიან ნუცა მაჭარაძე-ტაბიძის გარდაცვალებას.

მეუღლე ვარვარა, შვილები მარგო, ვახტანგ, ეთერ, შვილიშვილები, სიძე არჩილ იუწყებიან დავით წერეთელის გარდაცვალებას. გამოსვენება 11/II, 2 ს. გროზნოს, 4.

მშობლები თამარ ჩარგა და სერგო მარგველაშვილი იუწყებიან, რომ 11/II, 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია დალის პანაშვიდი.

ლიდა ფირცხალავა, მარო სანაძე, მარო ქუთათელაძე, ზინა გალდავაძე, ნინო დუნდუა, თამარ გულუა იუწყებიან ნუცა მაჭარაძე-ტაბიძის გარდაცვალებას. გამოსვენება 11/II, 2 ს. კამოს, 69.

შვილები კატო, ალექსანდრე, სიმონი, ვანო, ირაკლი, რძლები ეკატერინე, რიმა, ირინე, თინა იუწყებიან საბა ივანეს-ძე გრიშიკაშვილის გარდაცვალებას.

გორგიაშვილი, მელაძე, მესხი, გოორგაძე, გუდიაშვილი, მამულაშვილი, კვანტალიანი, წვერავა, აბულაძე, როინიშვილი, სიხარულიძე იუწყებიან ალექსანდრე ნოსელიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში 13/II.

მშობლები ნადია, ივანე ბურდულაძეები იუწყებიან დალის გარდაცვალებას.

დედა თებრო, მეუღლე მარო, შვილები ნაზია, ლიკა, შურა, ლიზა, სიძე ალექსანდრე, დისშვილები იუწყებიან ალექსანდრე ბაიდოშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება 11/II, 3 ს. კრამიტის, 8.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-63-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, ხაზლიგწოხი—3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და პარტიული პროპაგანდის — 3-81-84, კომკავშირული ცხოვრების და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო - სატრანსპორტო—3-80-83, სამხედრო, ლიტერატურისა—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ც. კ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91,800 უე 00026